# პრივატიზების მაცნე

№ 16
ივლისი, 1996 წელი

PRIVATIZATION HERALD

პრივატიზაცია

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი

გამოდის 1993 წლიდან

ფასი 50 თეთრი

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

## განისაზღვრა საპრივატიზებო და სააქციო საზოგადოებად დასაფუძნებელი ობიექტების ღირებულების განსაზღვრის წესი

საპრივატიზებო და სააქციო საზოგადოებად დასაფუძნებელი ობიექტების ღირებულების რეალურად განსაზღვრის მიზნით ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 5 ივლისის ბრძანებით საპრივატიზებო ობიექტების (გარდა სააქციო საზოგადოებად დასაფუძნებელისა) გასაყიდი ფასის განსაზღვრა ხორციელდება "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას იჯარით ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის № 20 დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 30 იანვრის (№ 1-3/10) ბრძანების მიხედვით.

სააქციო საზოგადოების აქციების გაყიდვისას (გარდა შრომით კოლექტივებზე 20 პროცენტის ფასდაკლებით გასაცემი აქციებისა, რომელთა ღირებულება უცვლელი რჩება) მის ნორმალურ ღირებულებას ემატება ამ ნომინალის 30% და სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გამოკლებული პასივების ხვედრითი წილის შესაბამისი პროცენტი.

ბრძანება ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან.

საინფორმაციო – საორგანიზაციო სამმართველოს (მ. გაბუნია) დავალებული აქვს უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების ტერიტორიულ ორგანოებამდე სასწრაფოდ დაყვანა.

ძალადაკარგულად ჩაითვალა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 25 მარტის (№ 08.36.256) დადგენილება.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლს მინისტრის მოადგილე ბატონი გ. დიდბარიძე ახორციელებს.

### „კერძო მესაკუთრეს დაცვა სჭირდება"

**დარწმუნებულია რომან გოცირიძე**

**"ალიონის" კორესპონდენტთან საუბრის დროს რომან გოცირიძემ თქვა: პრივატიზების ერთი ეტაპის დამთარებით გასრულდა უმნიშვნელოვანესი საქმე – სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი გადავიდა კერძო პირების ხელში – გაჩნდა მესაკუთრე, რომელსაც მოქმედების ფართო ასპარეზი აქვს.**

**ამასთან, თქვა მან, არსებობს დიდი წინააღმდეგობები. მაგალითად, თვით მეწარმეებს – ექსპორტიორსა და იმპორტიორს, საწარმოს მფლობელსა და შრომით კოლექტივს შორის და ა.შ.**

**"ამიტომ მესაკუთრეს აუცილებლად სჭირდება არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა, დაცვა" – აღნიშნა ბატონმა რომანმა, რომელიც კერძო საკუთრების დაცვის ლიგის შექმნის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი იყო.**

**ლიგის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 13 ივლისს, სასტუმრო "აჭარის" საკონფერენციო დარბაზში (დაწვრილებით ანგარიში შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ).**

## უცხოურ ინვესტიციებს – მყარი გარანტია

ქვეყანამ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას თავი რომ დააღწიოს, სოლიდური ფულადი სახსრებია საჭირო, რაც მოშლილი მეურნეობის პირობებში მრავალ პრობლემას ქმნის. დიდ მნიშვნელობას იძენს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა. კერძოდ, უცხოური კაპიტალის, სხვადასხვა კომპანიების ინვესტიციების მოზიდვა. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში სათანადო ნიადაგი მომზადდეს და საიმედო პირობები შეიქმნას.

ამ პირობების შესაქმნელად მუშაობენ ქართველი სპეციალისტები, რომელთა ერთი ჯგუფი ( 4 კაცის შემადგენლობით) ახლახანს იმყოფებოდა სტამბოლში. ჯგუფი მიწვეული იყო სემინარზე, რომელსაც ევროპის საერთაშორისო განვითარების ცენტრი სისტემატურად მართავს სპეციალურად პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის.

ამ დღეებში, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გაიმართა პრეს-კონფერენცია. სემინარის მონაწილემ, სამინისტროს საორგანიზაციო – საინფორმაციო სამმართველოს უფროსმა მერაბ გაბუნიამ ვრცლად ისაუბრა ზემოაღნიშნულ სემინარზე.

– სემინარში ცხრა ქვეყანა იღებდა მონაწილეობას და ყველას თითქმის ერთნაირი პრობლემა აწუხებდა – აღნიშნა მერაბ გაბუნიამ. – ეს გახლავთ უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა. საჭიროა სათანადო პირობების შექმნა იმისათვის, რომ ფინანსისტებმა საქმეში ფული ჩადონ.

ინვესტორისთვის მარტო კრიმინოგენული სიტუაცია და პარტნიორის საიმედოობა როდია განმსაზღვრელი. კაპიტალდაბანდების ძირითადი არსი მოგებაა, ჩვენს ქვეყანაში კი ამისათვის დღეს საუკეთესო პირობებია. ამაზე მეტყველებს ისეთი საზღვარგარეთული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი, როგორებიცაა ირლანდია, გერმანია და სხვა ქვეყნები, რომლებიც ოცდაათიოდე წლის წინათ, დაახლოებით ისეთსავე მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიც საქართველოა დღეს.

ქართველ სპეციალისტთათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ირლანდიის მაგალითი, ისიც საქართველოს მსგავსად პატარა ქვეყანაა და მანაც განვითარების დაახლოებით ისეთივე გზა განვლო. როგორისაც ჩვენ გავლივართ. იქ მოქმედებს მძლავრი საინვესტორო სააგენტო, რომელიც ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობს. ჩვენთან ეს ინსტიტუტი ჯერჯერობით ჩანასახის მდგომარეობაშია ირლანდიის, სამმილიონნახევრიანი ქვეყნის აღნიშნულ სააგენტოში 550 კაცია. აქედან 200 საზღვარგარეთ მხოლოდ და მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე და საკუთარი ქვეყნის წარმოების ლარგების პრეზენტაციებზე მუშაობს. ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს, აფორმებენ ხელშეკრულებებს.

ამ მხრივ მეტად საინტერესო გამოდგა ირლანდიის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სააგენტოს ხელმძღვანელის ბატონ მაიკლ პოლის გამოსვლა, რომელმაც გასაგებად ახსნა თუ როგორ მოიზიდეს კაპიტალი და ამოსწიეს ჩავარდნილი ეკონომიკა. მთავარ მოტივად აქ ჩანდა ინვესტიციის მიღებისთვის საჭირო ნიადაგის შექმნა.

რატომ მაინც ჩვენი ყურადღება მაინც და მაინც ირლანდიამ? იმიტომ, რომ როგორც ითქვა იგი ჩვენს ქვეყანას ესადაგება მიუხედავად გეოპოლიტიკური განსხვავებისა, თანაც იგი მიმორებულია სავაჭრო გზებს. მიუკლებულია საუკეთესო ბუნებრივ პირობებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ირლანდიისაზე გაცილებით უკეთესია. მრავალი ღონისძიების გაუმჯობესებით გადმოღება შეიძლება.

საინტერესოა როგორ გაუტოლდა ეს "კარჩაკეტილი" ქვეყანა თანამედროვე ევროპულ დონეს: დასაწყისში, რა თქმა უნდა, მათაც დიდი პრობლემები ჰქონდათ. მათ უცხო კაპიტალდაბანდების მოზიდვა შეძლეს იმის მეშვეობით, რომ მოახერხეს ინვესტორებისთვის ძალზე დიდი სარგებლის. დაახლოებით 25 პროცენტის დაწესება. ამრიგად უცხოური ინვესტორი ყოველ დაბანდებულ დოლარზე მეოთხედ მოგებას იღებდა და ეს ორივე მხარეს ხელს აძლევდა სხვაგვარად არავინ დააბანდებდა თანხას. ფინანსისტს საბანკო პროცენტზე 2-ჯერ ან 3-ჯერ მეტი შემოსავალი უნდა ჰქონდეს. სპეციალურ წვრილმანებს რომ არ ჩავყვეთ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს შეუძლია უკეთესი მონაცემების მიღწევა გარკვეული პირობების შესრულების შედეგად

პირველ ყოვლისა დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საინვესტიციო სააგენტოს შექმნას, რომელმაც არა მარტო კაპიტალის მოზიდვაზე უნდა იზრუნოს, არამედ ჩვენი ქვეყნის პროდუქტების პრეზენტაცია-გაცნობაზეც

და მაინც, ეს არ არის მთავარი. როგორც ითქვა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მოთხოვნათა შესრულებას, რაც საჭიროა უცხოური ინვესტიციათა მოსაზიდად. უპირველესად ეს არის მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს ფასებზე კონტროლის მოხსნას, ეროვნული ვალუტის კონვერტირებას, ინფლაციასთან ბრძოლის ღონისძიებათა რეალიზაციას, ვაჭრობის ლიბერალიზაციას, აგრეთვე, იმ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც იწვევს საქმიანი ოპერაციებისთვის სამართლებრივი სისტემის უზრუნველყოფას, საზღვარგარეთული ინვესტიციების ლიბერალიზაციასა და დაცვას, პრივატიზებას, ლაბეგვრის სისტემისა და ადმინისტრაციულ რეფორმას.

აქედან ჩვენთან ბევრი უკვე გაკეთებულია, ბევრი კეთდება, იქმნება და იხვეწება.

პრესკონფერენციის დასასრულს პასუხი გაეცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

**ბელა ქობალია**

**ცნობისათვის:** ირლანდია – სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, უჭირავს კუნძულ ირლანდიის უმეტესი ნაწილი, ფართობი – 70.3 ათასი კმ2. მოსახლეობა – 3.2 მილიონი კაცი. დედაქალაქი – დუბლინი. ოფიციალური ენები – ირლანდიური და ინგლისური. ეროვნული დღესასწაულია 17 მარტი – წმ. პატრიკის დღე. ოფიციალური კალენდარი – გრიგორიანული. ფულის ერთეულია ირლანდიური გირვანქა, რაც უტოლდება ინგლისურ გირვანქა სტერლინგს. ირლანდია შედგება 4 ისტორიული პროვინციისაგან (კონპატი, ლენსტერი, მანსტერი, ოლსტერი). ადმინისტრაციულად იყოფა 26 საგრაფოდ.

## ნომერში:

განისაზღვრა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კონტროლის ინსპექციის დებულება, სტრუქტურა, სამუშაო გეგმა გვ. 2

„ჩვენ არავის არაფერს წავართმევთ" გვ. 3

დადგენილებაში შეტანილია ცვლილებები და დამატებები გვ. 4

გამგეობებს მუნიციპალურ სარგებლობაში გადაეცათ გვ. 5

კერძო სექტორის წილი იზრდება გვ. 5

ლებედს მხოლოდ საკუთარი თავი მოსწონს გვ. 5

„მიკვირს ამდენხანს რომ არ დაგვაპატიმრეს" გვ. 5

პურის ფასებზე მღელვარება დაცხრა გვ. 5

ყველაფერი კარგად იქნება, თუ... გვ. 6

დაიბეჭდა ერთი მილიონი ვაუჩერი გვ. 7

ყოფილი ვიცე-პრემიერი ციხეში იყო და... გვ. 7

საავტორო უფლებაც საკუთრებაა

ჩვენი ლექსიკონი გვ. 8

ნომერში:

# კონტროლის ინსპექცია მუშაობას იწყებს

## განისაზღვრა სტრუქტურა და სამუშაო გეგმა

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომრის ანონსში გაუწყეთ, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის კონტროლის ინსპექცია.

ეს ახალი ფაქტია, მაგრამ მოულოდნელი არ არის. ინსპექციის შექმნა გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 21 მარტის ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტრუქტურაც.

შემუშავდა კონტროლის ინსპექციის დებულება, რომლის მიხედვით იგი მუშაობას წარმართავს და აკონტროლებს პრივატიზების პროცესის მიმდინარეობას, მის მართებულობას, ხელისუფლებისა და სამინისტროს მიერ საკვანძო და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას.

ინსპექცია არის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

კონტროლის კომისია არ ახორციელებს პრივატიზების რევიზიას, იგი ხელს არ უშლის პრივატიზების შეუქცევადობას, არ მოახდენს პრივატიზებული ქონების წართმევას და ა. შ.

მაშ, რა არის მისი შექმნის მიზანი და ამოცანა? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა ინსპექციის დებულება, რომელიც აქვე ქვეყნდება.

მანამდე უნდა ვთქვათ, რომ უკვე განსაზღვრულია სტრუქტურა, ინსპექციის შემადგენლობა. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 3 ივნისის ბრძანებით ინსპექციის უფროსად დაინიშნა ზურაბ ბასტაძე. ამასთან იგი დამტკიცდა სამინისტროს კოლეგიის წევრად. მინისტრის 1996 წლის 12 ივნისის ბრძანებით მთავარ სპეციალისტებად დაინიშნენ ლევან ბოლქვაძე, გივი ჯანჯალაშვილი, მირიან მდივანი, წამყვან სპეციალისტებად – დავით რცხილაძე და იოსებ მამულაშვილი.

დებულების შესაბამისად განისაზღვრა ინსპექციის სამოქმედო პროგრამა, ძირითად საკითხთა წრე და მიმდინარე წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

## საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კონტროლის ინსპექციის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 1. ზოგადი დებულება

1.1. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კონტროლის ინსპექცია არის ცენტრალური მმართველობითი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

1.2. კონტროლის ინსპექციის ამოცანას და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ზედამხედველობის განხორციელება პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე და მართებულობაზე. ხელისუფლებისა და სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საკვანძო და მნიშვნელოვან საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობაზე.

1.3. კონტროლის ინსპექცია ანგარიშვალდებულია და პასუხს აგებს მინისტრის წინაშე მასზედ დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების განხორციელებაზე.

1.4. კონტროლის ინსპექცია თავის მუშაობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებების, მინისტრის ბრძანებებისა და განკარგულებების, წინამდებარე დებულებისა და მინისტრის მიერ დამტკიცებული თავისი სამუშაო გეგმის შესაბამისად.

1.5. კონტროლის ინსპექცია თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში შეისწავლის ცალკეულ საკითხებს, განცხადებებს, საჩივრებში მოყვანილ ფაქტებს თავისი თანამშრომლების მეშვეობით, აპარატის მუშაკთა კომისიური წესით მოწვევით (დარგობრივ სამმართველოსთან შეთანხმების შემდეგ), ტერიტორიული ორგანოების მონაწილეობით; კოორდინაციასა და კონტროლს უწევს პრივატიზების პროცესში კანონმდებლობის, სხვა ნორმატიული აქტებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას.

### 2. ძირითადი ფუნქციები

2. კონტროლის ინსპექცია მინისტრის ბრძანებების, განკარგულებებისა და დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად:

2.1. შეისწავლის საჭიროების შემთხვევაში პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებულ საკვანძო და მნიშვნელოვან საკითხებზე ხელისუფლების, სამინისტროს მიერ მიღებული ბრძანებების, დადგენილებების, განკარგულებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას სამინისტროს აპარატში და ტერიტორიულ ორგანოებში.

2.2. შეისწავლის საკვანძო და მნიშვნელოვან საკითხებზე შემოსულ საჩივრებს, განცხადებებს და მასში მოყვანილ ფაქტებს.

2.3. ამოწმებს ცალკეულ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებების მართებულებას სამინისტროს აპარატში და ტერიტორიულ ორგანოებში.

2.4. ამოწმებს პრივატიზებულ და აქციონირებულ ობიექტებში სახელმწიფო ქონების შეფასების მართებულებას, აქციონირებულ ობიექტებში დივიდენდების დარიცხვის მდგომარეობის სისწორეს და დადგენილ წესთან შესაბამისობას.

2.5. შეისწავლის პრივატიზებულ და აქციონირებულ ცალკეულ ობიექტების უმოქმედობის მიზეზებს, გამომწვევ პირობებს და ამზადებს შესაბამის წინადადებებს მინისტრისა და კოლეგიისათვის სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

2.6. საჭიროების შემთხვევაში რიგ საჩივრებს და განცხადებებს ადგილზე შესასწავლად და ზომების მისაღებად (რეაგირებისათვის) უგზავნის ტერიტორიულ ორგანოებს.

2.7. შეისწავლის ცალკეული ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას პრივატიზაციის მიმდინარეობას და ამის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

2.8. აანალიზებს და სათანადო კონტროლს აწესებს სამინისტროში საკვანძო საკითხებზე არსებულ არსებულ დოკუმენტებში დაყენებულ საკითხთა და ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობასა და მდგომარეობაზე.

2.9. შეისწავლის და ამზადებს ცალკეულ საკითხებს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 21 მარტის № 235 ბრძანებულებით შექმნილი საკონტროლო კომისიის, პროკურატურის, კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ურთიერთთანამშრომლობით.

2.10. საპარლამენტო სამთავრობო კომისიებთან,მაკონტროლებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად შესწავლილ საკითხებზე ამზადებს მასალებს და წარუდგენს მინისტრს დანიშნულებისამებრ გადასაგზავნად და რეაგირებისათვის.

2.11.შემოწმების დროს საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოსთან ერთად შეისწავლის ქონების მართვისა და პრივატიზაციის საკითხებზე სამინისტროში და ტერიტორიულ ორგანოებში მიღებულ ცალკეულ ნორმატიული აქტების შესრულების მდგომარეობას, მართებულობას და გამომდინარე შედეგებს.

2.12. საჭიროების შემთხვევაში შემოწმების შედეგებზე ამზადებს საკითხებს და წარადგენს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად, მინისტრის ბრძანების, განკარგულების და სხვა გადაწყვეტილების მისაღებად.

### 3. კონტროლის ინსპექციის უფლება-მოვალეობანი

3.1. კონტროლის ინსპექციას უფლება აქვს:

3.1.1. მინისტრთან შეთანხმებით საკითხის შესწავლის დროს მოითხოვოს თავისი მუშაობისათვის აუცილებელი ინფორმაცია სამინისტროს სამმართველოებისაგან და ტერიტორიული ორგანოებიდან.

3.1.2. აკონტროლოს სამინისტროს აპარატში და ტერიტორიულ ორგანოებში პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული საკვანძო საკითხებზე მიღებულ ბრძანებულებების, დადგენილებების, განკარგულებების, მათში დასახული ღონისძიებების განხორციელების მდგომარეობა და შესრულების მიმდინარეობა.

3.1.3. თავის კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს განსახილველი საჩივრების, განცხადებების შესწავლა,საჭირო მასალების მოკვლევა, ახსნა-განმარტების ჩამორთმევა (მიღება).

3.1.4. ჩატარებული შემოწმების შედეგად მოკვლეული მასალების საფუძველზე მოამზადოს დასკვნა და წინადადებები გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებათა ასახვით.

3.1.5. დადგენილ ვადებში მიაწოდოს მინისტრს და კოლეგიას ინფორმაცია კონტროლზე აყვანილ საკითხთა შესრულების მდგომარეობასა და განხორციელების მიმდინარეობაზე.

3.1.6. საჭიროების შემთხვევაში მინისტრთან შეთანხმებით მოახდინოს ცალკეულ პრივატიზებულ ობიექტებში სახელმწიფო ქონების შეფასების მართებულობის დადგენა და მოქმედი წესით ამოღებულ თანხებზე ინსპექციის მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისათვის მოამზადოს წინადადება მინისტრის სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

3.1.7. კონტროლი გაუწიოს ფინანსების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს მონაწილეობით აქციონირებულ ობიექტებში დივიდენდების დარიცხვის მდგომარეობას და მის მართებულებას.

3.1.8. შემოწმების ჩატარების დროს აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის სამმართველოებთან შეთანხმებით მოამზადოს მინისტრის ბრძანების პროექტი კომისიის (მუშა ჯგუფი) შესაქმნელად ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად. ცალკეულ სპეციფიკურ საკითხთა შესასწავლად მოიწვიოს ან დროებითი ხელშეკრულებით კომისიაში ჩართოს ეროვნული მეურნეობის შესაბამისი დარგების სპეციალისტები.

3.1.9. მოსთხოვოს ტერიტორიულ ორგანოებს ინფორმაცია შესასრულებლად გადაგზავნილ საკითხებზე, მიღებული ზომებისა და გატარებულ ღონისძიებათა თაობაზე.

3.1.10. ცალკეული დავალებების შესაბამისად მოამზადოს დასკვნა შემოწმებულ საკითხთა ირგვლივ და წარუდგინოს მინისტრს სათანადო ინსტანციაში გადასაგზავნად.

3.1.11. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით იურიდიულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოსთან ერთად შეისწავლის კანონიერ ნორმატიულ აქტებს სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის საკითხებზე.

3.2. კონტროლის ინსპექცია ვალდებულია:

3.2.1. შემოწმების შედეგად გამოვლენილ უხეშ ნაკლოვანებებზე, როდესაც დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე ზიანი მიადგა სახელმწიფო ქონებრივ ინტერესებს (მათ შორის სახელმწიფო ქონების მონაწილეობით დადებულ გარიგებებში) წარუდგინოს მინისტრს წინადადებები სათანადო ზომების მიღებისა და შესაბამის ღონისძიებათა გატარების თაობაზე.

3.2.2. დააწესოს კონტროლი დავალების შესაბამისად მინისტრისა და კოლეგიის მიერ მიღებულ დადგენილების უცილობელ შესრულებაზე.

3.2.3. იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოსთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში აღძრულ მათ მიერ შესწავლილ საპრეტენზიო საკითხთა განხილვაში.

### 4. კონტროლის ინსპექციის ხელმძღვანელობა და მუშაობის ორგანიზაცია

4.1. კონტროლის ინსპექციას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი.

4.1.2. კონტროლის ინსპექციის თანამშრომლები სამინისტროს საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესაბამისად ინიშნებიან და თავისუფლდებიან მინისტრის მიერ ინსპექციის უფროსის წარდგინებით.

4.1.3. კონტროლის ინსპექცია თავის საქმიანობას წარმართავს შედგენილი და მინისტრის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით, მასზე დაკისრებული შემოწმებებისა და მინისტრის ერთჯერადი დავალებების შესაბამისად.

4.1.4. მინისტრის დავალებების შესაბამისად კონტროლის ინსპექცია საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საპარლამენტო, სამთავრობო და სხვა კომისიების მუშაობაში.

4.2. კონტროლის ინსპექციის უფროსი:

4.2.1. მინისტრთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს კონტროლის ინსპექციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე.

4.2.3. ინსპექციის მუშაკთა მატერიალური წახალისების მიზნით ამზადებს წინადადებებს ცალკეული ობიექტების შემოწმების დროს, პრივატიზაციის პროცესში გამოვლენილი სახელმწიფო ქონების არასწორად შეფასების გამოვლენის შედეგად ამოღებული თანხებიდან გამომდინარე.

4.2.4. ანაწილებს ფუნქციებს და შესასრულებლად მიღებულ ცალკეულ ერთჯერად დავალებებს კონტროლის ინსპექციის თანამშრომლებს, შექმნილ კომისიებს (მუშა ჯგუფებს) მორის ზედამხედველობას უწევს მათ დროულ და ხარისხიან შესრულებას; პასუხს აგებს მინისტრის წინაშე დაქვემდებარებული სამსახურის მუშაობაზე.

4.3. კონტროლის ინსპექციის რეორგანიზაცია (სამუშაო მოცულობისა და მასშტაბების ზრდის შედეგად საშტატო განრიგის გადახედვის გათვალისწინებით) და ლიკვიდაცია ხდება მინისტრის ბრძანებით.

**სხვა გაზეთებიდან**

## აღმოსავლეთ საქართველოში პრივატიზებულია მცირე ჰიდროელექტროსადგურები

რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ გურჯაანის რაიონში ჩაატარა შემოწმება, რომელიც მიზნად ისახავდა რიგი მცირე ჰიდროელექტროსადგურების პრივატიზების კანონიერების დადგენასა და მათი ქონების ღირებულების გადაფასებას. როგორც სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ გურამ დიდბარიძემ განაცხადა, შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ალაზანჰესის ღირებულება შემცირებულია 35,4 ათასი დოლარით. ამიტომ, ამ თანხის ნახევარი სააქციო საზოგადოების კოლექტივს 1 ივლისამდე ვაუჩერებით უნდა დაეფარა, ხოლო ექვივალენტური თანხა ეროვნული ვალუტით, დადგენილი წესის თანახმად, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უნდა გადაიხადოს.

ამ ვადაში უნდა აღმოიფხვრას, აგრეთვე, თეთრიხევის ელექტროსადგურის ღირებულებაში არსებული სხვაობა, რაც 5,7 ათას დოლარს შეადგენს.

სააქციო საზოგადოება ბუგუჭესის შემოწმებისას, თავდაპირველ შეფასებასთან შეფარდებით, ეს სხვაობა 50 ათას დოლარად განისაზღვრა. ამგვარად, ამ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი გაორმაგდა და 102 ათას დოლარს მიაღწია. დანაკლისი თანხის დასაფარავად საჭიროა აქციების გამოშვება და მათი რეალიზება არსებული წესით.

"რეზონანსი"

"პრივატიზების მაცნე" – საქმიანი ადამიანების გაზეთი.
განცხადებები, რეკლამები, მეწარმეობის ფართო პროპაგანდა.
ყველაფერი უფასოდ!
მობრძანდით!
დაგვირეკეთ!
ტ. 99-93-07, 98-35-49.

# „ჩვენ არავის არაფერს წავართმევთ“ ანუ ინსპექცია პრივატიზების ხელშემწყობი ქვედანაყოფია

## ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კონტროლის ინსპექციის უფროსი ზურაბ ბახტაძე

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კონტროლის ინსპექციის უფროსი ზურაბ ბახტაძე დაიბადა 1947 წელს. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი, ჰქონდა საათობრივი დატვირთვა. შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა საქარხნო რაიონის პარტიულ, საბჭოთა, საგეგმო ორგანიზაციებში, კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, საიდანაც გადაყვანილი იქნა მინისტრთა კაბინეტში უფროსი რეფერენტის თანამდებობაზე. იყო ვაჭრობისა და მომსახურების განყოფილების გამგის მოადგილე. აქედან გადაიყვანეს ვაჭრობის სამინისტროში. ვაჭრობის სამინისტროსა და მატერიალური რესურსებით მომარაგების კომიტეტის გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროში ასრულებდა მინისტრის მოადგილის მოვალეობას ეკონომიკის, რეფორმისა და მართვის საკითხებში.

1996 წლის 3 ივნისიდან იგი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კონტროლის ინსპექციის უფროსია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**"პრივატიზების მაცნე": ბატონო ზურაბ! გილოცავთ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო უბანზე მოსვლას და გისურვებთ წარმატებებს.**

ზურაბ ბახტაძე: დიდი მადლობა. ამასთან მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენს მკითხველებს მივცე მტკიცე პირობა, რომ მთელს ჩემს გამოცდილებას მოვახმარ სამინისტროს ამ ახალი სტრუქტურული ერთეულის ნაყოფიერად მუშაობას.

**პ.მ. სახელმწიფო ქონების პრივატიზება მთელი ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტია. რამდენად მზად ხართ ამ უბანზე ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად ინსპექციის უფლება-მოვალეობების შესაბამისად?**

ზ. ბ.: თუ ზედმეტ თავდაჯერებად არ ჩამითვლით, რეფორმები ჩემთვის ახალი საქმე არ არის. ყოფილ ვაჭრობის სამინისტროში გადმოსვლისთანავე აქტიურად ვმონაწილეობდი, შემიძლია ვთქვა, ვხელმძღვანელობდი გარდაქმნებს, რომელიც ემყარებოდა მართვის რეორგანიზაციას, დეცენტრალიზაციისა და დემონოპოლიზაციის პრინციპებს. ვფიქრობ, ეს გარდაქმნები ჯეროვნად დამთავრდა უკვე ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს სისტემაში, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

**პ.მ.: სახელმწიფო ქონების პრივატიზების ძირითადი ეტაპი უკვე განვლილია და ახლა იქმნება ინსპექცია. რატომ? რამ განაპირობა მისი ჩამოყალიბება?**

ზ.ბ.: სახელმწიფო ქონების პრივატიზება, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ახალი ხილი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის, ყამირი გავტეხეთ. ყველაფერი ცარიელ ადგილზე დაიწყო. პროცესი საკანონმდებლო ბაზის შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა. არ გვქონდა სათანადო გამოცდილება. ზოგჯერ საკითხები ადგილებზე ნაჩქარევად წყდებოდა. ყოველივე ამან განაპირობა გარკვეული გადახრები ცალკეულ ადგილებზე. ამაზე საქართველოს პრეზიდენტმაც 1996 წლის 26 ივნისს მეწარმეებთან შეხვედრაზეც ისაუბრა. თქვენი გაზეთის წინა ნომერში "ინვესტკურიერიდან" გადმობეჭდილ ბატონ პრეზიდენტის პუბლიკაციაშიც არის ხაზგასმული გარკვეული ნაკლოვანებების არსებობა, რომელიც თანდათან სწორდება.

აქედან გამომდინარე, თუ წარმოიქმნება რაიმე პრობლემური საკითხი, რომელიც გადამოწმებას, გადასინჯვას, აღრე მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობის შემოწმებას მოითხოვს, აი აქ, იმოქმედებს კონტროლის ინსპექცია თავისი კომპეტენციის, დებულებით განსაზღვრული უფლებების მიხედვით.

ამის გარდა, უნდა ვაკონტროლებდეთ სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების შესრულების მიმდინარეობას ჩვენი სისტემის ფარგლებში; ასევე პარლამენტის, მთავრობის გადაწყვეტილებების, თვით ჩვენი სამინისტროს, მისი კოლეგიის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებაზე თვალყურის დევნება იქნება ინსპექციის უმთავრესი საზრუნავი.

**პ.მ.: ინსპექციის შექმნამ ხალხში ერთგვარი დაბნეულობა და შიშიც კი დაბადა. ახლაც თქვენს მიერ წარმოთქმული სიტყვები "გადამოწმება", "გადასინჯვა" მართლაც იწვევს ერთგვარი შეშფოთების საფუძველს.**

ზ. ბ.: ვერ დაგეთანხმებით. შიშის, შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არ არსებობს.

**პ.მ.: მაშასადამე, ეს არ იქნება უკვე თითქმის გასრულებული პრივატიზების ერთგვარი რევიზიის საშუალება.**

ზ.ბ.: რა თქმა უნდა, არა. ეკონომიკური რეფორმა, მათ შორის სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა შეუქცევადი პროცესია და გარწმუნებთ, რომ არ იქნება არავითარი უკანდახევა. ჩვენი სამსახურის შექმნა სულ არ ნიშნავს პრივატიზებული ქონების ვინმესთვის წართმევას, უკან დაბრუნებას.

დავაკონკრეტებ. თუ სამინისტროს მაკონტროლებელ ორგანოებს ექნებათ რაიმე სერიოზული, ხაზს ვუსვამ, სერიოზული სიგნალი იმისა, რომ სადღაც კანონის დარღვევით, სერიოზული ნაკლოვანებებით მოხდა ქონების გაყიდვა, მხოლოდ მაშინ ჩაერთვება ჩვენი სამსახური.

**პ.მ.: ამ შემთხვევაში ღირდა კი სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფის, მისი საშტატო ერთეულების შექმნა და სამინისტროს აპარატის გაზრდა მაშინ, როცა ასე ინტენსიურად მიმდინარეობს კადრების დათხოვნა და ათასობით ექიმი, პედაგოგი, ინჟინერი უმუშევარი რჩება?**

ზ.ბ. ღირდა. მაგრამ ვიდრე ამ ღირებულებაზე ვისაუბრებთ, მანამდე ვინმეს მართლა რომ არ შეექმნას კადრების საერთო დათხოვნის ფონზე, სამინისტროს ცენტრალური აპარატის გადიდების ილუზია, მოგახსენებთ ერთს: ინსპექციაში მისი უფროსის ჩათვლით, სულ ექვსი კაცია. უფრო მეტი: ჩემს გარდა, ისინი ამავე სამინისტროს სხვადასხვა განყოფილებიდან იქნენ გადმოყვანილნი და შტატების გადიდებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ახლა, რატომ ღირდა? საქმე ის არის, რომ პრივატიზება ისეთი პროცესია, ყველა ერთნაირად მოგებული ვერ დარჩება, ამისდა მიხედვით ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ზედმეტ ეჭვებს ბოლო უნდა მოეღოს. ყველაფერი ცხადი და ნათელი უნდა გახდეს. არც სერიოზული დარღვევა უნდა იქნას მივუჩქმალული. იუმცა კიდევ ვიმეორებ, ჩვენ არავის არაფერს არ ვართმევთ, მხოლოდ გადაწყვეტილებების მართებულობასა და სახელმძღვანელო დადგენილებების განხორციელებისათვის გაწეულ საქმიანობაზე განვახორციელებთ კონტროლს.

**პ.მ.: რამდენადაც ვიცით დამტკიცებულია მესამე კვარტლისათვის ინსპექციის სამუშაო გეგმა. რას ითვალისწინებს ის?**

ზ.ბ. დიახ, ასეთი გეგმა უკვე არსებობს. მასში გათვალისწინებულია წამოჭრილი პრობლემატიკა და სამინისტროს ხელმძღვანელობის მოსაზრებებიდან გამომდინარე საკითხები. მასში ჩართულია, ვთქვათ, თულავის ტერიტორიული ორგანოების მიერ გაწეული საქმიანობის, აქ პრივატიზებული ობიექტების საქმიანობის შესწავლა.

**პ.მ.: შეგიძლიათ ასე ღიად ილაპარაკოთ თქვენს სამოქმედო გეგმებზე?**

ზ.ბ.: რატომაც არა. თელავის გარდა გეგმაშია გორი, ყაზბეგი და თეთრი წყარო. აქ ზოგიერთი ერთჯერადი საკითხიცაა.

მინდა გითხრათ ისიც, რომ ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური ფორმა, რათა მოვიპოვოთ ზუსტი ინფორმაცია ადგილებიდან იმ საწარმოებზე, რომლებიც არ მუშაობენ. უნდა გავარკვიოთ, რა ხდება, რატომ არ მუშაობს პრივატიზებული ობიექტი, რა უშლის ხელს – ობიექტური მიზეზი თუ მეპატრონის უგერგილობა.

კიდევ, ვთქვათ, არსებობს სააქციო საზოგადოება. სამინისტროს მიღებული აქვს მასზე გადაწყვეტილება – რაღაც საკითხია მოსაგვარებელი, პრობლემა – გადასაწყვეტი. ჩვენ ვახორციელებთ კონტროლს იმაზეც, თუ რა გააკეთა ქონების ადგილობრივმა ორგანომ კოლეგიის გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, მესამე კვარტლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს 9 საკვანძო საკითხი, რომელზედაც იმუშავებს ჩვენი ეს 6-კაციანი ქვედანაყოფი.

**პ.მ.: ე. ი. მუშაობა უკვე დაწყებულია.**

ზ. ბ.: თავად განსაჯეთ. სულ ერთი თვეა გასული ინსპექციის შექმნიდან და საორგანიზაციო საკითხები მთლიანად მოგვარებულია.

**პ.მ.: ბატონო ზურაბ! თქვენ ბრძანეთ, რომ უნდა მოიპოვოთ უმოქმედო ობიექტების ნუსხები...**

ზ.ბ. დიახ. მხედველობაში გვაქვს დიდი რეგიონები – თბილისი, რუსთავი, მცხეთა, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ზესტაფონი, სადაც სიცოცხლე დუღს და ყველა პირობაა სამოქმედოდ. შევისწავლით რატომ არ მუშაობს ესა თუ ის ობიექტი.

**პ.მ.: მერე რა საშუალებები გაქვთ მათ ასამოქმედებლად?**

ზ.ბ.: აკი გითხარით, ჩვენ ალმასრულებელი სტრუქტურა არა ვართ. ინფორმაციას ვაგროვებთ ანალიზისა და დასკვნისათვის – რატომ არის უმოქმედო, არ ქმნის პროდუქციას, არ ემსახურება მოსახლეობას და ა.შ.

აქ შეიძლება რამდენიმე მომენტი იყოს. მათ შორის ასეთი: ვიღაცამ მიიღო მესაკუთრის სტატუსი, შემდეგ რაღაც არ მოეწონა თუ არ აწყობს, ადგა და ობიექტი დახურა. შეიძლება მუშაობს, მაგრამ ეს არ ჩანს. ამიტომ სპეციალური ფორმა შევიმუშავეთ და ინფორმაციას მოვითხოვთ საგადასახადო ინსპექციისაგან თუ აღმოჩნდება, რომ ის არაფერს არ იხდის, ან თავისი ჯიბისათვის მუშაობს ან უმოქმედოა. პრივატიზების მიზანი კი ის იყო, რომ მომხდარიყო დეცენტრალიზაცია, მესაკუთრე გამოსულიყო სხვისი იურისდიქციიდან და სხვას არ ეკარნახა, რა გაეკეთებინა, სად გაეყიდა, საიდან მიეღო ნედლეული ან სარეალიზაციო პროდუქცია და ა.შ., მაგრამ შეექმნა დოვლათი და გაეტანა ბაზარზე, ამასთან შეენარჩუნებინა პროფილი, სახე. ეს იყო პრივატიზების მიზანი. ვიღაც მესაკუთრე კი გახდა, მაგრამ შედეგი? არაფერი.

ისე უნდა გითხრათ, რომ თავიდანვე საკითხისადმი ჩემი მიდგომა ასეთი იყო: უნდა დაგვეწყო იჯარა გამოსყიდვის უფლებით. აქ ყველაფერს ჯიბეში ვერავინ ჩაიდებდა და ამასთან ექნებოდა სახსრების დატრიალების საშუალება. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი, მაგრამ ეს ფორმა, სამწუხაროდ, მხოლოდ შარშან მიიღო პარლამენტმა. ამიტომ შესაძლებელია, რომ მესაკუთრემ ყველაფერი ობიექტის შეძენაში "ჩადო" და დარჩა ცარიელი ჯიბით. ეს მომენტიც არ უნდა გამოგვრჩეს, ახლა ამას შველა უნდა. მადლობა ღმერთს, საშველიც ჩნდება და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**პ.მ. ექვსკაციანი აპარატით ამხელა გეგმების განხორციელება თითქმის შეუძლებელია.**

ზ.ბ. გეთანხმებით. ოღონდ აქ ცოტა სხვანაირი მექანიზმიც იმოქმედებს. კერძოდ, მთელ რიგ ღონისძიებებთან ერთად ადგილებზე გვეყოლება ხალხი, ვისაც დავეყრდნობით. საუბარი არ არის ახალ თანამშრომლებზე. თქვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმად ყველა ტერიტორიული ორგანო ვალდებულია თავისი თანამშრომლებიდან გამოყოს ერთი პიროვნება, რომელიც პასუხს აგებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებათა კონტროლზე. ეს პიროვნება უშუალოდ სამინისტროს საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას დაექვემდებარება, მაგრამ ეს დაბრკოლება არ არის. ჩვენ მათთან ნაყოფიერად ვიმუშავებთ და მწამს, რომ არ გაგვიჭირდება.

**პ.მ.: გაზეთისაგან რას მოითხოვთ?**

ზ.ბ.: ამ გაზეთით მე ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომიც ვსარგებლობდი. იყო ინფორმაციის წყარო. ახლა ვიცი, რომ გაზეთი იცვლის პერიოდულობას და შინაარსს. ამიტომ მისი მხარდაჭერა აუცილებლად დაგვჭირდება.

**პ.მ.: მაშასადამე, შეიძლება აქტიურად ვითანამშრომლოთ.**

ზ.ბ.: ამაზე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს. ოღონდ უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ მაშინ, როცა უკვე ხელთ გვექნება შედეგები.

**პ.მ.: გმადლობთ და კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას.**

ესაუბრა
რ. ქორიძე

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# დადგენილებაში ცვლილებები და დამატებებია შეტანილი

"საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამაში 1996 წლისათვის ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 2 თებერვლის № 143 ბრძანებულების, "საქართველოს რესპუბლიკის საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს № 829 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 2 ივლისის ბრძანებით "1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1996 წლის 25 მარტის (№ 08.35.255) დადგენილებით დამტკიცებულ პირველ დანართს დაემატა ობიექტების გარკვეული ჯგუფი, რომელთა ნუსხა აქვე იბეჭდება. დანართი № 2-ს ობიექტების ნუსხა, რომელიც ამოღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 21 ივლისის № 572, 1994 წლის 18 აგვისტოს № 570, 12 დეკემბრის № 854, 1995 წლის 7 მაისის № 249, 19 ივნისის № 420 დადგენილებებიდან (დანართი № 2 იხილეთ შემდეგ ნომერში);

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დარგობრივ და ტერიტორიულ განყოფილებებს (სამმართველოებს) დაევალათ განახორციელონ ამ დადგენილების პ№ 1.1-ში აღნიშნული ობიექტების პრივატიზების ორგანიზება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით."

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილეს ბატონ გ. დიდბარიძეს.

დანართი №1

# 1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

| ობიექტების დასახელება | სამინისტრო, უწყება | პრივატიზების ინიციატორი |
|---|---|---|
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა** | | |
| ქ. ბათუმის რკინა-ტექნიკური ნაწარმის ქარხანა | მრეწველობის დეპარტამენტი | აჭარის არ. სახელმწიფო ქონების მართვ. სამინ. |
| ქობულეთის ბაბის საქსოვი ფაბრიკა | –"– | –"– |
| ქობულეთის ხის დამამუშავებელი ქარხანა "ოჩხამური" | –"– | –"– |
| ხულოს მცირე საწარმო "თერძი" | –"– | –"– |
| შუახევის რაისამრეწველო კომბინატი | –"– | –"– |
| ქედის რაისამრეწველო კომბინატი | –"– | –"– |
| ხელვაჩაურის სადებავების ქარხანა "ურეხი" | –"– | –"– |
| ხელვაჩაურის საშენ მასალათა კომბინატი | –"– | –"– |
| ქედის მცირე საწარმო "ეკლარი" | –"– | –"– |
| სააგვჯო ბამბუკის ფაბრიკა | –"– | –"– |
| საწარმოო წარმოების კომბინატი | ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტრო | –"– |
| № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმო | –"– | –"– |
| მცირე მექანიზაციის და მოპირკეთების სამმართველო | –"– | –"– |
| კაპიტალური მშენებლობის სამმართველო | –"– | –"– |
| ბათუმის კომერციულ-შუამავლური საწარმო | სახელმწიფო კონცერნი "საქნავთობპროდუქტი" | –"– |
| ბათუმის ტაქსომოტორების საწარმო | საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი | –"– |
| სპეციალური სამშენებლო-სარემონტო ფირმა "სხივი-2000" | –"– | –"– |
| სოფელ ჩობოყვათის ჩაის მიკროფაბრიკა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | –"– |
| ქედის ჩაის ფაბრიკა | –"– | –"– |
| სოფელ ბუკნარის ციტრუსების ნაყენების ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ გონიოს შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| ჩაისუბნის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| დაბა ხელვაჩაურის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ მესონის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ხალას შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ბუკნარის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ჩობოყვათის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ კვირიკეს შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ხუცუბანის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ქობულეთის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ მუხაესტატეს შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ოჩხამურის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ღელევას შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ ახალშენის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| სოფელ მახინჯაურის შემფუთავი ქარხანა | –"– | –"– |
| ტურისტული კომპლექსი "მწვანე კონცხი" | ტურიზმის დეპარტამენტი | –"– |
| ტურისტული კომპლექსი "ციხისძირი" | –"– | –"– |
| ტურისტულ-კომერციული ცენტრი "განთიადი" | –"– | –"– |
| დაბა ჩაქვის ტურბაზა "ჩაქვი" | –"– | –"– |
| სამშენებლო-სარემონტო ფირმა "ბეტა-94" | –"– | –"– |
| დაბა მახინჯაურის ტურბაზა "მახინჯაური" | –"– | –"– |
| დაბა მახინჯაურის ტურბაზა "ლაჟვარდი" | –"– | –"– |
| ქობულეთის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო | –"– | –"– |
| ქ. ბათუმის ტურისტული სააგენტო "აჭარა" | –"– | –"– |
| დაბა შუახევის ტურისტული სააგენტო "მარეთი" | –"– | –"– |
| ქ. ქობულეთის ტურბაზა "მზიური" | –"– | –"– |
| ქ ქობულეთის ტურბაზა "ქობულეთი" | –"– | –"– |
| ავტობაზა "ტურისტი" (სოფელი წინსვლა) | –"– | –"– |
| ტურისტული კომპლექსი "მესხეთი" | –"– | –"– |
| სასტუმრო "მედეა" | კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო | –"– |
| ბათუმის ცენტრალური უნივერმაღი | ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრო | –"– |
| ქ.ბათუმის საბჭკების ტრესტი | –"– | –"– |
| **ქ. თბილისი** | | |
| სპეციალიზებული საწარმო "კავკასელექტრომშენი" (ჯიქიას ქ. № 6) | სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაცია | შრომითი კოლექტივი |
| აკუმულატორების შემკეთებელი საამქროს დაუმთავრებელი მშენებლობა (კახეთის გზატკ. № 54) | საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი | საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი |
| საბინაო მეურნეობის სამმართველოს საწარმოო კომბინატი (მშვიდობის ქ. № 4) | ქ. თბილისის მერია | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო |
| "საქხილბოსტანვაჭრობის" ავტოკოლონა № 2672 | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | –"– |
| **ქ. რუსთავი** | | |
| ტექნიკური ცენტრი "ეკრანი" სარემონტო საექსპლუატაციო ბიურო (თბილისის ქ. № 2) | მრეწველობის დეპარტამენტი | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ქ. რუსთავის სამმართვ. |
| **ქ. ფოთი** | | |
| სამგზავრო-ავტოსატრანსპორტო საწარმო (მშვიდობის ქ. № 4) | საავტომობილო-ტრანსპორტის დეპარტამენტი | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ქ. ფოთის სამმართვ. |
| რ/ გ "საქელექტროსამონტაჟმშენი" სარემონტო სამშენებლო უბანი (ტაბიძის 5) | ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო | –"– |
| ღვინის ქარხანა (ქუთაისის ქ. № 10) | სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო | –"– |
| "საქკომუნმრეწემშენის" № 2 ტრესტის საქმიანი ეზო (დადიანის ქ. № 47) | კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო | –"– |
| "საქკომუნმრეწემშენის" № 2 ტრესტის ადმინისტრაციული შენობა | –"– | –"– |

| ობიექტების დასახელება | სამინისტრო, უწყება | პრივატიზების ინიციატორი |
|---|---|---|
| რ/გ "საქმეორადრესურსის" მეორადი რესურსების დამზადების კანტორა (ფალიაშვილის ქ. № 15) | ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრო | –"– |
| **ახალციხის რაიონი** | | |
| № 1 სამშენებლო-სარემონტო ტრესტის ახალციხის სარემონტო-სამშენებლო უბანი | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ახმეტის რაიონი** | | |
| სოფელ პირიქითის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის გამოუყენებელი აბანოს შენობა (სოფელი ზემო ალვანი) | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ბოლნისის რაიონი** | | |
| სოფელ სავანეთის სახელმწიფო მეურნეობის: | სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო |
| სადილის შენობა | –"– | –"– |
| სასუქი განყოფილების შენობა | –"– | –"– |
| მედდის სახლი | –"– | –"– |
| **გარდაბნის რაიონი** | | |
| თხევადი გაზის სასაწყობო მეურნეობის დაუმთავრებელი მშენებლობა (სადგური ვაზიანი) | სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაცია | სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაცია |
| **ზუგდიდის რაიონი** | | |
| საწარმოო კომერციული ფირმა "ენგური" კორპორაცია "ისინდი"-ს მშენებარე საწარმო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **თეთრიწყაროს რაიონი** | | |
| დაბა მანგლისის ყოფილი ღვინის მაღაზია (კალინინის ქ. № 9) | კომუნალური მეურნეობის სამმართველო | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო თეთრიწყაროს გან. |
| დაბა მანგლისის ყოფილი ხილ-ბოსტნეულის მაღაზია (კალინინის ქ. № 11) | კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო | –"– |
| დაბა მანგლისის მაღაზია | –"– | –"– |
| **თელავის რაიონი** | | |
| სახელმწიფო საწარმო "საპოვნელა" (სოფელი ვარდისუბანი) | საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი | საავტომობილო ქონების მართვის სამინისტრო თელავის სამმართველო |
| **თერჯოლის რაიონი** | | |
| სოფელ ჭოგნარის ეკლარის კარიერის სამმართველო | ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტრო | –"– |
| **მარნეულის რაიონი** | | |
| აზიზკენდის სახელმწიფო მეურნეობის თამბაქოს დასახარისხებელი შენობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| **ლენტეხის რაიონი** | | |
| სასტუმრო "სვანეთი" | ტურიზმის დეპარტამენტი | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო მესტიის განყოფ. |
| სტამბა | პოლიგრაფიისა და საგამომცემლო კორპორაცია | –"– |
| **ოზურგეთის რაიონი** | | |
| "სამთო ქიმიის" აფთიაქის დაუმთავრებელი მშენებლობა | მრეწველობის დეპარტამენტი | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ოზურგეთის სამმართ. |
| **საგარეჯოს რაიონი** | | |
| სოფელ პატარა ჩაილურის აგროსერვისის საწარმოს წისქვილის შენობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| სოფელ იორის სახელმწიფო მეურნეობის ფარდულის შენობა | –"– | –"– |
| საბრიგადო სახლი | –"– | –"– |
| სოფელ თოხლიაურის სახელმწიფო მეურნეობის მეღორეობის ფერმის შენობა | –"– | –"– |
| მაღაზიის შენობა | –"– | –"– |
| სოფელ გარეჯის სახელმწიფო მეურნეობის მეცხვარეობის ფერმის შენობა (გველისწყაროს ტერიტორია) | –"– | –"– |
| მეცხვარეობის ფერმის შენობა (ლორის საყარის ტერიტორია) | –"– | –"– |
| მეღორეობის ფერმის შენობა (პერლიარის ტერიტორია) | –"– | –"– |
| საგარეჯოს დამხმარე საწარმოს სასაწყობო შენობა | –"– | –"– |
| კრამიკის საამქრო | –"– | –"– |
| საგარეჯოს ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის სასაწყობო შენობა | –"– | –"– |
| მეფრინველეობის ფაბრიკის ძველი შენობა | –"– | –"– |
| **სამტრედიის რაიონი** | | |
| სოფელ კულაშის საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლის: ლიკვიდირებული საერთო საცხოვრებლის შენობა | განათლების სამინისტრო | განათლების სამინისტრო |
| ლიკვიდირებული სპორტული დარბაზის შენობა | –"– | –"– |
| ლიკვიდირებული სამკერვალო სახელოსნოს შენობა | –"– | –"– |
| ლიკვიდირებული ტრიკოტაჟის სახელოსნოს შენობა | –"– | –"– |
| **ჩხოროწყუს რაიონი** | | |
| აგროსამრეწველო სამმართველოს ხანძრისაგან დაზიანებული ადმინისტრაციული შენობა | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | რაიონის გამგეობა |

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# ბორჯომის რაიონის გამგეობას გადაეცა

ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოების და ობიექტების გამგეობის მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე გამოიცა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება (№ 1-3/314), რომელშიც ნათქვამია: "საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულების დამტკიცებისა და რეფორმების პროცესში შესაძლო შეცდომების გამორიცხვის საკოორდინაციო საკონტროლო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 21 მარტის № 235 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების № 1-ის, სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 8 თებერვლის № 38 ბრძანებულების, საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის (№ 303/08, 15.05.96), სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს (№ 11-3/3-185 20.05.96) და ეკონომიკის სამინისტროს წერილების შესაბამისად... 1. გადაეცეს ბორჯომის რაიონის გამგეობას მუნიციპალურ საკუთრებაში (ბალანსიდან ბალანსზე) რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოები და ობიექტები დანართი № 1-ის (თან ერთვის) შესაბამისად შესაბამისი ფუნქციების შენარჩუნებით.

2. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბორჯომის რაიონულ განყოფილებას დანართ № 1-ში აღნიშნული ქონების ბორჯომის რაიონის გამგეობის მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემის მიზნით არსებული წესით შექმნას კომისია და გააფორმოს სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამინისტროს უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის სამმართველოს (გ. გორდეზიანი) და მინისტრის მოადგილეს ბატონ გ. დიდბარიძეს".

დანართი №1

**ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებისა და ობიექტების გამგეობისათვის მუნიციპალურ საკუთრებაში გადასაცემი ქონების**

**ნ უ ს ხ ა**

1. ბორჯომის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო;
2. ციხისჯვრის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობა.

# ბრძანებით — მუნიციპალურ საკუთრებაში

"საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულების დამტკიცებისა და რეფორმების პროცესში შესაძლო შეცდომების გამორიცხვის საკოორდინაციო-საკონტროლო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 21 მარტის № 235 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პ. 2.1-ის, სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 8 თებერვლის № 38 ბრძანებულების, ასპინძის რაიონის გამგეობის (№ 26.01.96), ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს (№ 04-119 16.04.96), სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს (№ 11-3/3-129 19.04.96), თავდაცვის სამინისტროს (№ 402/32ხ 326 22.09.95), პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციის (№ 01-25/29 22.08.95), კონცერნ "საქნავთობპროდუქტის" (05/3357 22.08.95), ტურიზმის დეპარტამენტის (№ 01/185 14.08.95), კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველოს (01-2/174 14.04.95), სახელმწიფო კონცერნ "საქკურორტის" № 49 7.06.96) და ეკონომიკის სამინისტროს (№ 3-3/36 12.06.96) წერილების შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 26 ივნისის დადგენილებით ასპინძის რაიონის გამგეობას მუნიციპალურ საკუთრებაში (ბალანსიდან-ბალანსზე) გადაეცა რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოები და ობიექტები დანართი № 1-ის შესაბამისად (თან ერთვის) შესაბამისი ფუნქციების შენარჩუნებით.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ასპინძის რაიონულ განყოფილებას დაევალა დანართ № 1-ში აღნიშნული ქონების ასპინძის რაიონის გამგეობის მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემის მიზნით არსებული წესით შექმნას კომისია და გააფორმოს სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

დანართი №1

**ასპინძის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოების და ობიექტების ასპინძის რაიონის გამგეობის მუნიციპალურ საკუთრებაში გადასაცემი ქონების**

**ნ უ ს ხ ა**

ასპინძის მოძრავ-მექანიზებული კოლონა;
ასპინძის ყველ-კარაქის ქარხანა;
"ვარძია" და "ნიალის" რძის მიმღებ-გადამამუშავებელი პუნქტები;
"საქსოფლდამზადების" რაიონული გაერთიანება;
სოფლის მეურნეობის სამმართველოს მშენებარე ადმინისტრაციული სახლი;
სამშენ მასალების გაერთიანება;
ასპინძის სტამბა-რედაქცია;
ბენზინის გასამართი სადგური;
კურორტი "ასპინძა";
ავტოსატრანსპორტო საწარმო;
ავტოპროფილაქტიკის შენობა;
კომუნალურ საწარმოთა კომბინატი;
ფირმა "საქკომუნრემმშენის" წარმომადგენლობა;
საბინაო კომუნალური მშენებლობა;
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო;
ტირის ფიცრული ფარდული.

## პრივატიზება — ფინიშზე ანუ მხოლოდ ციფრები უკომენტაროდ

1996 წლის 24 ივნისის მდგომარეობით საქართველოში პრივატიზებული იყო 7472 მცირე ობიექტი, დაფუძნებულია — 964 სააქციო საზოგადოება. ამ პროცესისათვის დარიგდა 4,2 მლნ ფასიანი საპრივატიზებო ბარათი, რომლიდან მოსახლეობამ გამოიყენა 2,8 მლნ ბარათი.

სულ მოსახლეობაზე ვაუჩერებით და სხვა შეღავათებით უსასყიდლოდ გაიცა 112 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ქონება.

1996 წლის 1 ივლისამდე სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მოსალოდნელმა შემოსავალმა შეადგინა 10 მლნ აშშ დოლარზე მეტი.

ბოლო 45-ე სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონზე და 28-29 საბარათო აუქციონებზე მიღებულია 1 მლნ-მდე საპრივატიზებო ბარათი.

# კერძო სექტორის წილი იზრდება

დამთავრდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროგრამით გათვალისწინებული ე.წ. "მცირე პრივატიზაცია". შეიქმნა, აგრეთვე, მრავალი სააქციო საზოგადოება, რის შედეგად სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი კერძო მფლობელობაში გადავიდა. ამით მესაკუთრეებმა არამარტო ქონება შეიძინეს, არამედ გაჩნდა ყველა პირობა იმისათვის, რომ თითოეულ პიროვნებას სრულად გამოემჟღავნებინა თავისი უნარი. შესაძლებლობა, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად შეექმნა დოვლათი, რომელსაც პირადი კეთილდღეობისთვისაც მოიხმარდა და საზოგადოების მოთხოვნებსაც გარკვეულად დააკმაყოფილებდა.

მიღწეული შედეგების უკვე თავჩენილი ხარვეზების ღრმა ანალიზი ჯერ ჩაადრეულია, მაგრამ შეიძლება მოკლე საუბარი იმ სურათზე, რომელიც გამოკვეთილად ჩანს.

პირველ რიგში თვალში საცემია მრავალი პრივატიზებული ობიექტის უმოქმედობა, რაც მარტო ძველი ეკონომიკური კავშირების გაწყვეტით, ნედლეულის დეფიციტით არ არის განპირობებული და ხშირად ამ ობიექტთა მეპატრონეების უსუსურობის ან მათი რაღაც მორსვამიზნული გეგმების შედეგია. ობიექტების გარკვეული ნაწილი კი სრული დატვირთვით მუშაობს, შედეგებსაც აღწევს და, როგორც ძველად იტყოდნენ, სახალხო საქმესაც აკეთებს.

თუ ასეა, მაშინ რატომ არის ბაზარი სავსე უცხოური პროდუქციით და სარისკო სასმელი ალკოჰოლიანი ნაწარმი, თუნდაც უმარტივესი პირველადი მოხმარების საგნები, მაღალხარისხიანი ქართული ღვინო, კონიაკი და ა.შ.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ამ წერილის მიზანი. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მიუხედავად გარეგნული უმოქმედობისა სადღაც ხალხი შრომობს, ღირებულ საქონელს ამზადებს.

რა გვაძლევს ასეთი თამამი განცხადების საფუძველს? მხოლოდ სინამდვილე, რეალობა.

კერძოდ:

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის გაანგარიშებით, TAKLSL-ის ევროპული საექსპერტო სამსახურის ყოველთვიური სტატისტიკური მიმოხილვის ("საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები") მონაცემებით, 40000-მდე საწარმოს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა შემდეგი: 1995 და 1996 წლების პირველ კვარტლებს შორის მთლიანი შიდა პროდუქცია გაიზარდა 18 პროცენტით. ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ზრდა კერძო სექტორის მუშაობის შედეგიც არის. ეს რომ ცარიელი ფრაზა არ არის, ამაზე მეტყველებს კერძო და სახელმწიფო სექტორების აქტივობის შედარება. კერძო სექტორი აქციზური, დამატებითი ღირებულებისა და იმპორტის გადასახადების გარეშე აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქციის 74 პროცენტს.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი. ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ კერძო სექტორი დომინირებს მხოლოდ ვაჭრობაში. აქ მისი ხვედრითი წილი მართლაც შეადგენს 88 პროცენტს. მაშ რაღა დარჩა? ის, რომ კერძო სექტორის მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქცია საერთო მოცულობის 62 პროცენტია. უკეთესი მდგომარეობაა ტრანსპორტზე. აქ კერძო სექტორის წილი 77 პროცენტს შეადგენს, სოფლის მეურნეობაში ეს ციფრი 77-ია, მშენებლობაში კი 34 პროცენტი.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ დაიწყო პროცესი. იგი შეუქცევადია და ჯერ ტემპებს იკრებს, რომელიც სულ უფრო დაჩქარდება. თუ სადმე სამართალია, ეს ჩვენს ბაზარსაც მალე უნდა დაეტყოს.

ი. მამუკელაშვილი.

## ლებედს მხოლოდ საკუთარი თავი მოსწონს

კორესპონდენტის შეკითხვაზე, რომელი გენერლის პოლიტიკური სახე მოსწონს — ეიზენჰაუერის, დე გოლის თუ პინოჩეტის — რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლებედმა კატეგორიულად განაცხადა, რომ იგი პატივს სცემს მხოლოდ ერთს — პოლიტიკოსად ქცეულ გენერალ ლებედს.

ძნელი სათქმელია, ისეთის რის გაკეთებას აპირებს ლებედი, რაც არც ეიზენჰაუერს, არც დე გოლს არ გაუკეთებიათ. ვითომ პინოჩეტზე "გადახტომას" აპირებს? ამისთვის ალბათ, მოსკოვის ცენტრალური სტადიონიც არ ეყოფა.

## "მიკვირს ამდენ ხანს რომ არ დაგაპატიმრეს"

ამას წინათ რუსეთის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ გადასცა ორსერიიანი მხატვრული ფილმი "მორიელის ნიშნით", რომელშიც ნაჩვენებია "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" ნამდვილი სახე და "მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის" დამოკიდებულება რევოლუციური მასებისადმი, მათ შორის ინტელიგენციისადმი. კერძოდ, ულიანოვ-ლენინი გორკის ლენინი ეპასუხება: ძალიან მიკვირს, შენ რატომ დასეირნობ ასე თავისუფლად და დღემდე არ დაუჭერიხართ, რაც შეეხება პროლეტარიატის დიქტატურას, იგი არც ერთ კანონს და წესს არ ემორჩილება და მოქმედებს მხოლოდ თავის შეხედულებისამებრ.

აი ასე — მარტივად და გასაგებად.

## სიმართლე თუ სენსაცია

## მარტინ ბორმანი სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობდა

ახლახან მსოფლიოს სააგენტოებმა გაავრცელეს სენსაციური ცნობა — ნაპოვნია ჰიტლერული გერმანიის ერთ-ერთი თავკაცის მარტინ ბორმანის პასპორტი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ არსებობდა ორი ვერსია. პირველით — ბორმანი დაიღუპა ბერლინიდან გასვლის მცდელობისას, მაგრამ მისი გვამი ნაპოვნი არ იყო. მეორე ვერსიით იგი ბერლინიდან სამხრეთ ამერიკაში გაიქცა, მაგრამ ხანგრძლივი ძებნის მიუხედავად მის კვალს ვერავინ მიაგნო.

აი, არგენტინის ქალაქ ბარილოჩეს მკვიდრმა, წარმოშობით გერმანელმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, "გამოამზეურა" ბორმანის პასპორტი. ეს დოკუმენტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ბორმანი მართლა ცხოვრობდა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში. რომელში? ამაზე შეიძლება პასუხი გასცეს ინკოგნიტოდ დარჩენილმა პიროვნებამ, რომელმაც განაცხადა, რომ წერს წიგნს მარტინ ბორმანის ცხოვრებაზე.

დღის რეპორტაჟი

# მღელვარება მალე დაცხრა

ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც პურზე ფასები განთავისუფლდა. ჯერ ადრეა ლაპარაკი ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების საბოლოო შედეგებზე, მაგრამ გარკვეული წარმოდგენის შექმნა მაინც შეიძლება.

პურის, როგორც ადამიანის უპირველესი საარსებო საშუალების ღირებულებაზე დიდად არის დამოკიდებული სხვა პროდუქტების ფასებიც და არა მარტო პროდუქტების. ამიტომ საზოგადოებაში ერთგვარი შეშფოთება და პანიკაც კი იგრძნობა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ამ ღონისძიების განხორციელებისათვის სამზადისი დაიწყო. წინასწარმა საუბრებმა, ახსნა-განმარტებებმა ხალხი შეამზადა, მაგრამ შეშფოთება მაინც არ დამცხრალა. უნდა ითქვას, რომ მარტო მოსახლეობა როდი ღელავდა, მღელვარება ეტყობოდათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხებზე მუშაობდნენ.

ხელისუფლებამ თავიდანვე ლაიჭირა თადარიგი. მოიმარაგა ხორბალი და ფქვილი, სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ პურის საცხობების, მაღაზიების, მომარაგების სამსახურის მუშაკებს.

თავისუფალ ფასებს, ბუნებრივია, თვით ბაზარი აწესრიგებს, მაგრამ ხელისუფლებამ პროგნოზებისა და გაანგარიშების საფუძველზე, შესძლო სავარაუდო ღირებულების დადგენა და ამის შესაბამისად გამოუყო მოსახლეობას პურის ფასის კომპენსაცია.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდმნიშვნელოვანმა კომპანიამ კარგად ჩაიარა. პროგნოზები არამარტო გამართლდა, ზოგიერთ უბანში ვარაუდსაც გადააჭარბა. კომერციული ფასები კერძო მოვაჭრეთა და ეგრეთწოდებულ "შავ ბაზარზე" არ გაზრდილა, ზოგან დაიკლო კიდეც.

მაღაზიებსა და ფარდულებში, სადაც პური იყიდება, პანიკა არ ყოფილა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ზოგიერთ გამყიდველთან და მომხმარებლებთან გასაუბრება.

ჩვენი საუბრის თემა ხშირად ირღვეოდა პურის ფასებიდან სხვა პრობლემატურ საკითხებზე გადასვლის გამო. ხალხი საერთო გაჭირვებას უჩიოდა, მაგრამ ოპტიმიზმი მაინც იგრძნობა. მომავლის იმედი აქვთ.

ბელინსკის ქუჩაზე მდებარე მთაწმინდის რაიონის "სურსათვაჭრობის" №39 მაღაზიაში მდიდარი ასორტიმენტია. რუხი, თეთრი, თონის მრგვალი და შოთის პურები. აქვთ კომერციული ფირმიდან შემოტანილი პურიც. მოსახლეობა ძირითადად მრგვალ 45 თეთრიან პურს ეტანება, მაგრამ რიგები არ არის.

გავესაუბრეთ მყიდველებს:

— უნდა გითხრათ, რომ მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი, — ამბობს ინჟინერი თამაზ ხანუკაშვილი, რომელიც აქვე მახლობლად, ჯავახიშვილის ქუჩაზე ცხოვრობს — რიგები მაინც და მაინც ადრეც არ ყოფილა, მაგრამ გვეშინოდა გაძვირებისა და ხელოვნურად შექმნილი დეფიციტისა. რაც შეეხება ღლევანდელ ღირებულებას, 45-50 თეთრი არც ისე დიდი თანხაა, მაგრამ, მოგეხსენებათ ჩვენი მცირეხელფასიანობა...

დიასახლისი ლეილა გოგელია: — მე შავ პურს უფრო ვეტანები, და ფასის სხვაობა არც მიგრძვნია. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ მგონი დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი პურის ფასების "აწევების შესახებ" და ამან ერთგვარი შიში გამოიწვია. ადრე, როცა პირველად შემოიღეს ბარათები, პურის ხარისხი ნაკლები იყო. მერე თანდათან გაუმჯობესდა და ახლა თუ კონკურენცია დაიწყო, გაიმართება შეჯიბრი მყიდველის მიზიდვისათვის. ეს კი პურის მეწარმეებს "იძულებულს" გახდის ხარისხი გააუმჯობესონ.

გავესაუბრეთ აღნიშნული მაღაზიის გამგეს მერი ცინცაძეს.

— ყოველგვარი მღელვარება მოხსნილია, სიამოვნებით უნდა ვთქვა, რომ მოსახლეობა გაგებით შეხვდა ამ დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას. არ ირღვევა გრაფიკი და არც მომწოდებლებს ვუჩივით. ჩვენი ძირითადი მომმარაგებელია პურის №7 ქარხანა. ამ მაღაზიაში ვმუშაობ 26 წელიწადია და კარგად ვიცნობ თითქმის მთელ კონტინგენტს. რა დასამალია, ჯერჯერობით ხალხს უჭირს და პანიკაც ამით იყო გამოწვეული. ჩვენც ვღელავდით. თავდაპირველად განაცხადიც მცირე წარვადგინეთ.

— მაინც რა სიახლე, სხვაობა იგრძნობა ვაჭრობაში?

— იქნებ უმნიშვნელო, მაგრამ აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია, წინათ მომხმარებელს მიჰქონდა ორი დღის პური, დიდ ოჯახს — სამი-ოთხი ცალი. ახლა ამდენს აღარ იყიდის. მოვა ყოველდღე და ახალ-ახალ პურს წაიღებს. შინ აღარ დააძველებს. თუ ასე გაგრძელდა ძალიან კარგი იქნება. ტელევიზიით მოვისმინე, ბატონი პრეზიდენტის ნათქვამი — საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასის გაიაფების ტენდენცია იგრძნობაო. ამან შეიძლება ჩვენშიც გარკვეული გაიაფება გამოიწვიოს.

— თქვენი მაღაზია პრივატიზებულია თუ არა?

— მგონი ჯერ არ იგრძნობა ასეთი რამ. ჩვენც ვფიქრობთ და ველოდებით, მაგრამ ჩანს, პირობები უნდა შეიცვალოს. როგორც ამბობენ, პრივატიზების შემთხვევაში საკუთრების 59 პროცენტი სახელმწიფოს რჩება და 41 — მესაკუთრეს. ეს, ცოტა არ იყოს, დაბრკოლებებს ქმნის.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო კოსტავას ქუჩაზე მდებარე მთაწმინდის რაიონის "პურვაჭრობის" №37 მაღაზიაში. გამყიდველმა ლილი ბაჩუკაშვილმა გაგვაცნო პურფუნთუშეულის ასორტიმენტი და თქვა, რომ არავითარი პრობლემები არ წარმოქმნილა ფასების განთავისუფლების გამო. იყო ეჭვები და ერთგვარი შიში, მაგრამ ეს ორ დღეში გაქარწყლდა. ღმერთმა ქნას, რომ ვითარება უარესისაკენ არ შეიცვალოს...

დიღმის მასივში უნივერსამის მიდამოებში, მეხუთე კვარტლის რვასართულიანი სახლის ქვეშ არის პურფუნთუშეულის მაღაზია "თავთავის" ფილიალი №8, რომელშიც პური დილის 8 საათისთვის მოეტანათ. მომხმარებელს გავესაუბრეთ:

— არავითარი პრობლემა არ ყოფილა, — თქვა მე-5 კვარტლის მე-9 კორპუსში მცხოვრებმა, მშენებელმა თენგიზ ზარიძემ. — პირველ დღეებში კერძო გამყიდველებმაც და გადამყიდველებმაც კი გააიაფეს პური. ახლა ყველაფერი მოგვარდა და თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, პრობლემები არ წარმოიშვება. ერთი იგრძნობა, ბაზრებიდან მოსული ხალხი ბევრ პურს ყიდულობს და ეტყობა სოფელში მიაქვს. ამან შეიძლება დისონანსი შეიტანოს მომარაგების საკითხში.

იქვე მდებარე ერთსართულიანი პავილიონის ტიპის მაღაზიასთან, მე-4 კვარტალში მცხოვრებმა ზეინკალმა მიხეილ უროტაძემ აღნიშნა, რომ უკვე გამოჩნდნენ გადამყიდველები. ისინი ეძებენ 45 თეთრიან პურს, მერე ბაზრებსა და სხვა თავშეყრის ადგილებში 60 თეთრად ყიდიან. თითქოს ეს ერთი მხრივ დასაგმობია, მაგრამ, რას ვიზამთ, საბაზრო ეკონომიკამ ეს იცის, აქვე ჩანს მოხერხებული კაცის აღლო — მაღაზიები დაკეტილია? ბაზარი რჩება სხვას. ეს არის გზა კომერციისაკენ, ხარფიანი საქმის საშოვნელად. იქნებ პურის მაღაზიებიც ცოტა უფრო მოქნილები გახდნენ.

პურის ფასების განთავისუფლებამ კარგი სტარტი აიღო, ტემპისა და წონასწორობის შენარჩუნება ამ დარგის მუშაკთა ღირსების საქმეა.

ბელა ქობალია.

რედაქციაში წერილი მოვიდა

# რატომ არ მუშაობენ ძველი ბენზინგასამართი სადგურები?

რედაქციაში წერილი შემოვიდა. მისი ავტორი შეწუხებულია საერთო სატკივარით, რომელიც მთლიანად არის დაკავშირებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების შემდგომ ძნელად და რთულად მიმდინარე პროცესთან. ამიტომაც მთლიანად ვაქვეყნებთ მას.

"პატივცემულო რედაქციავ!

ნუ დამძრახავთ, თუ ჩემი ნაცოდვილარი თქვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მთავარია საქმეშ დაგაინტერესოთ და გულთან ახლოს მიიტანოთ. შეიძლება რასაც ვამბობ არ იყოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ყოველი დიდი საქმე პატარიდან იწყება. თუ ის პატარა ვერ დავინახეთ, დიდს როგორღა გავაკეთებთ?

როგორც თქვენ ამბობთ, პრივატიზებულ ქონებაზე მოგახსენებთ. ბევრმა კარგად იშოვა. ვისაც ჰქონდა იმან ყველაზე მეტად მოითბო ხელი. ზოგი სულ ცარიელზე დარჩა, რასაკვირველია, უქონელი. ზოგიერთის საქციელი კი სულ გაუგებარია და მათ მოქმედებას ვერანაირად ვერ ჩახვდებით.

პრივატიზება, მოგეხსენებათ, სატრანსპორტო საშუალებისა და ბენზინგასამართი სადგურების აუქციონზე გაყიდვით დაიწყო. შეჯიბრების რა მოგახსენოთ, მაგრამ რაღაც ფორმით მანქანების დიდი უმრავლესობა და ეს, "ბენზოკალონკები" სულ გაიყიდა. მანქანების შემსყიდველთაგან ერთ-ერთი მეც ვარ და ეს წერილიც გაგულისებული კაცის ნამოქმედარი არ არის.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ "კალონკების" ერთი ნაწილი დღესაც უმოქმედოდ არის. ეს ხდება არა მარტო თბილისში, არამედ ტრასებზეც. დავდივარ და ვხედავ. გაიხედავ და დგას მშვენივრად მოწყობილი ჯიხური, "კალონკები", მიწაში კიდევ უზარმაზარი ავზებია, მაგრამ რა? ყველაფერი ცარიელია. არც ბენზინი, არც პატრონი. გასაოცარი ის არის, რომ მის გვერდით, 20-30 მეტრში ახალი ბენზინგასამართია, სადაც ბენზინიც არის და ვითომ მფლობელთა დიდი რაოდენობაც ტრიალებს. ეს გასაგებია. ისეთი დროა, ყველაფერს დაცვა სჭირდება.

გასაკვირია ის, რომ ძველი სადგური უმოქმედოდ დგას. დავიჯერო იგი არავის შეუსყიდია და ახლა უპატრონოდ არის მიტოვებული? მაშინ სად არის ის ხალხი, ვისაც მისი მოვლა ან გაყიდვა ევალებოდათ?

თუ ეს "კალონკები" გაყიდულია, საინტერესოა ვინ იყიდა, რატომ იყიდა ან ახლა სად არის და რატომ ანადგურებს შეგნებულად საჭირო მოწყობილებებს, შენობას, საცავებს?

დავიჯერო ყველა ამ უმოქმედო "კალონკების" პატრონები დანაშაულში ამხილეს და ახლა პატიმრობაში არიან? ვერ ყოფილა ჩვენი საქმე ისე კარგად, როგორც თქვენ ხატავთ, თუ ამდენი სახელმწიფო ქონების ნახევარი მაინც ქურდებსა და მძარცველებს ჩავუგდეთ ხელში.

მინდა დავიჯერო, რომ ამ კითხვებზე პასუხი თქვენ იცით და თუ მთლად სახელმწიფო საიდუმლოება არ არის, იქნებ ის მაინც გვითხრათ, რატომ მიატოვეს ეს ძველი "ბენზინკალონკები" მათმა პატრონებმა (თუ ისინი მართლა არსებობდნენ) და რატომ აშენებს ეს ხალხი ახალს, როცა ძველი გამოუყენებელია და, როგორც აღვნიშნე, დღითი-დღე ნადგურდება.

გთხოვთ მიპასუხოთ. თუ სათქმელი არაფერი გაქვთ, შეგიძლიათ ეს წერილიც არ დაბეჭდოთ, დახიოთ და გადაყაროთ. პასუხს მაინც არავინ მოგთხოვთ.

ს. ბულიაშვილი,

ქ. თბილისი.

**რედაქციისაგან: ცხადია, ამ წერილში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა რედაქციასაც შეუძლია, ოღონდ უპრიანი იქნება, თუ მასზე ჩვენზე კომპეტენტური, მართლაც საქმეში ღრმად ჩახედული სპეციალისტები იტყვიან თავიანთ სათქმელს. ამიტომაც ამ წერილზე პასუხის გაცემას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს ვთხოვთ. მათ მოსაზრებას შემდგომ ნომერში შემოგთავაზებთ.**

## ყველაფერი ქარგად იქნება, თუ...

საქართველოს ტელე...
ისათვის მიცემულ ინტერ...
ში სახელმწიფო მდივანმა ...
ლეკიშვილმა განაცხადა, ...
"თუ მრეწველობას ...
მუშავებთ, მაშინ სახელმწ...
ბიუჯეტიც შეივსება". რო...
უნდა მოხდეს ეს, ამ...
არაფერი უთქვამს. მინის...
ისიც განაცხადა, რომ სახე...
წიფომ, მისი აზრით, არც...
საწარმოს საკონტროლო ...
ტი არ უნდა დაიტოვოს. ...
გან ახლა სახელმწიფო ბ...
ჯეტში გაცილებით მეტი ...
(70 პროცენტი) შემოდის ...
ძო სექტორიდან, ვიდრე ...
ელმწიფო საწარმოებიდან.

## უკვე გადაზიდულია 12 ათასი ტონა

"ევრაზიის დერეფნის" პრ...
გრამა სულ უფრო ცხოვ...
ინტერესს იწვევს. ამ გზ...
სულ ახლახან დაინტერეს...
რუმინეთი. გაჩნდა იმის შე...
ძლებლობა, რომ დაპრო...
დეს და განხორციელდ...
ბორნით ფოთის დაკავშირ...
რუმინეთის დიდ საპორ...
ქალაქთან — კონსტანცასთ...
"ევრაზიის დერეფნი...
ევროპის ქვეყნებში სა...
ოველოზე გავლით უკვე ...
ზიდა 12 ათასი ტონა უზბ...
ბამბა.

## გაიმართა ტენდერი

საქართველოს კავშირგ...
მულობისა და ფოსტის სამ...
ისტროში გაიმართა ტენდე...
რომლის მიზანი იყო თბილ...
სის სატელეფონო ქსელის მო...
ერნიზაციისათვის ყველაზე ...
ლსაყრელი პროექტის შერ...
ვა. ქსელის სრულყოფაში ...
ელმწიფო არ მიიღებს მონ...
ილეობას. მას გამარჯვებუ...
დააფინანსებს.

ტენდერში მონაწილეობ...
ნენ ცნობილი ფირმები. ...
ძოდ "ალკატელი", "დეი...
"სიმენსი", "სამსუნგი", "...
"ევისონი", "ფელეფერი".

მუშაობის პირველ ეტაპ...
მოწესრიგდება 30,31,51 სატელ...
ფონო სადგურების საქმიან...
ბა, შემდეგი ეტაპი შეეხება ...
სატელეფონო კვანძებს და ...
სადგურებს.

როგორც მინისტრმა ფ...
დონ ინჯიამ განაცხადა, მ...
ლი რიგი ღონისძიებების ...
ტარებასთან ერთად, თბილ...
ში შეიქმნება სადიაგნოსტ...
ცენტრი, რომელიც პირველ...
ამიერკავკასიაში. იგი სა...
ალებას მისცემს საქართველ...
მოემსახუროს ამ რეგიონ...
სხვა რესპუბლიკებსაც.

როგორც გამარჯვებულ...
ფირმის — "დეიუვუს" წარმ...
მადგენლებმა განაცხად...
მუშაობა სწრაფი ტემპით ...
ორციელდება და სამჯერ შე...
ცირებს ელექტროენერგ...
სატელეფონო ქსელის მო...
ოვნებს.

# გარდამავალი პერიოდის ეტაპები

### ...გერმანიის კომპანიებმა მიიღეს ...კვეთები განვითარებადი ქვეყნებიდან

...რმანიის დასავლეთ მიწებზე განლაგე... ფირმებმა გერმანიის მიერ დაფინანსე... განვითარებადი ქვეყნებისთვის დახ... ...ის აღმოჩენის პროგრამის შესაბამისად ...თარებადი ქვეყნებიდან 380 მილიონი ...არის შეკვეთები მიიღეს. ეს შეადგენს ...ნიის კომპანიების მიერ მიღებული მთე... ...კვეთების 16,9%-ს, იმ დროს როცა წინა ...ში ეს შეადგენდა სულ 4,1 პროცენტს, ანუ ...მილიონ დოლარს. ანალოგიური შედეგე... ...მოსალოდნელი მომავალშიც, რაც მოწ... ...აღმოსავლეთ გერმანიის კომპანიების ...რდ კონკურენტუნარიანობას. უმეტესი ...ური დაკავშირებული იყო ტრანსპორტ... ...ვახის დაგეგმვასა და კვების პროდუ... ...ან. განვითარებული ქვეყნებიდან გერმა... ...ყველაზე დიდ თანხაზე დადო კონ... ...ები მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკ... ...ისმა გადანახადმა კაპიტალის სახით ...ი წევრად შესვლის შემდეგ შეადგინა ...მილიონი დოლარი, მიღებით კი კონტრაქ... ...სახით მიიღო 11,6 მილიონი დოლარი, ...რდებით ოცდაერთი-ერთთან. ეს შეფარდე... ...პონიისთვის შეადგენს 19,8. დიდი ბრიტ... ...ისთვის – 14,4- საფრანგეთისთვის – 14,0, ...ის შეერთებული შტატებისთვის – 10,2- ...ამას დავამატებთ მსოფლიო ბანკის ...ში გერმანიის ჩარიცხვები შეადგენს 8 ...არდ აშშ დოლარს, მაშინ როდესაც მის ...დადებული კონტრაქტები 14,9 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც ქვეყანას ამ ...ებლით საშუალოს მდგომარეობაში ...ს.

### ...აიბეჭდა ერთი მილიონი ვაუჩერი

...ლგარეთში მასობრივი სავაუჩერო პრივა... ...პროგრამა წლის დასაწყისში დაიწ... ...დაიბეჭდა ერთი მილიონი ვაუჩერი, რაც ...ქვეყნის ყველა საფოსტო განყოფილე... ...სარეგისტრაციო შენატანის (500 ლევი, ...აშშ დოლარის ტოლია) სრულასაკოვან ...ქალაქებს შეუძლიათ ვაუჩერები მიიღონ ...ალური ღირებულების 25000 ლევით (354 დოლარი), რომლებიც შემდგომში შეი... ...გადაცვალონ 1300 სახელმწიფო საწარ... ...ერთო თანხით 200 მილიარდი ლევის (2,8 ...არდი აშშ დოლარი) ღირებულების აქციე... ...ამ საწარმოთა ნახევარი სამრეწველოა, ...რჩენები ტურისტულ, სასოფლო-სამეურ... ...და სამშენებლო სექტორს განეკუთვნება.

### ...ვესტირების პროგრამა გზას იკაფავს

...ხეთ "ქრისტიან საიენს მონიტორის" ...ით რუმინეთში კერძო საკუპონე ინ... ...ტირების პროგრამა, რომელიც ითვალ... ...ნებს თითქმის 4000 კომპანიის პრივატიზე... ...რძეს თავის გადასარჩენად. ამ პრო... ...ის შესაბამისად 17 მილიონ რუმინელს ...არი არჩევანით შეუძლია გაცვალოს ...ნები (ნომინალური ღირებულებაა 325 დოლარი), პრივატიზებული კომპანიების ...ზე. როგორც "რომანია ლიბერიას" ...კის რედაქტორი რემულუს მაიერი ...ნიშნება, პროგრამის განხორციელებიდან ...ის ორი თვის შემდეგ გაცვლილი იყო ...ების მხოლოდ 5 პროცენტი. პოტენცი... ...ინვესტორები საკმარისად ვერ იყვნენ ...ფორმირებული პრივატიზებისათვის მზად... ...კომპანიების შესახებ და ამიტომ კომპა... ...მხოლოდ 15 პროცენტი გამოდგა სიც... ...ისუნარიანი.

### სოციოლოგები იკვლევენ...

...ციოლოგ ოლგა კრიშტანოვსკაიას მიერ ...ულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ...ის ახალი პოლიტიკური ელიტის სამოც... ...მეტი პროცენტი და ახალ მეწარმეთა ...ის სამოცდაერთი პროცენტი საბჭოური ...ლიტურის წარმომადგენლები არიან. ...გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესმენები ...ად კომკავშირიდან და ძველი ნომენ... ...ურის ეკონომიკური სტრუქტურებიდან ...სული ხალხია.

### აქციათა ღირებულება დაეცა

ელცინის ეკონომიკური მრჩეველი ალექსანდრე ლივშიცი პრივატიზების "უფრო ფრთხილი" პოლიტიკისაკენ მოუწოდებს. რუსეთის ხაზინაში პრივატიზაციის გზით შევიდა მოსალოდნელზე 3,3 ტრილიონით ნაკლები. მიღებული 6 ტრილიონი მანეთიდან (1,3 მილიარდი აშშ დოლარი) დაახლოებით 4,7 ტრილიონი მანეთი (დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარი) მიღებულ იქნა თორმეტი აუქციონიდან, რომლებზედაც აქციებზე გაიცემოდა სესხი ე.ი. ფირმებს ნება ეძლეოდათ ებრძოლათ სახელმწიფო აქციების კრედიტებზე გადაცვლის მართვის უფლებისათვის. მაგრამ დაბალმა მოთხოვნამ განსაზღვრა აქციების დაბალი ღირებულება. ამ სისტემის არასრულყოფილებაში, რაც გასაყიდ კომპანიებთან მჭიდრო კონტაქტში მყოფ კომპანიებს საშუალებას აძლევდათ ვაჭრობა ეწარმოებინათ "შავ" აუქციონებზე, დაადანაშაულეს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე.

### სამომხმარებლო კალათის ღირებულება იზრდება

რუსეთის ბიუჯეტი ითვალისწინებს 88,6 ტრილიონი რუბლის (19 მილიარდი აშშ დოლარი) დეფიციტს ან 335-ს დაახლოებით 3,8 პროცენტს. ეს წინა წლის დეფიციტზე მეტია, რაც შეადგენდა "335"-ს 3,5 პროცენტს. ბიუჯეტი ითვალისწინებს ინფლაციის შემცირებას თვეში 1,9 პროცენტამდე. ყოველთვიური ინფლაცია შემცირდა 17,8 პროცენტიდან 3,2 პროცენტამდე. ფასები მთლიანობაში გაიზარდა 131 პროცენტით, მაშინ, როცა წინა წელს მათი ზრდა შეადგენდა 215 პროცენტს. სამომხმარებლო კალათის ღირებულებამ, რაც მოიცავს კვების ცხრამეტ ძირითად პროდუქტს, 235000 რუბლი შეადგინა. სამომხმარებლო კალათის ღირებულება მერყეობდა იაკუტსკში 508000 რუბლსა, მურმანსკში 300000-სა და ულიანოვსკში 132000 რუბლს შორის. მოსკოვში მისი ღირებულება 277000 რუბლი იყო. ყველაზე მეტად გაიზარდა კომუნალურ სამსახურის (400 პროცენტით) და საზოგადოებრივი ტრანსპორტის (220 პროცენტი) ფასები.

### კომპანიები არ იხდიან გადასახადებს

რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილემ სერგეი ალექსაშენკომ განაცხადა, რომ რუსეთის კომპანიებისა და ორგანიზაციების დაახლოებით 40 პროცენტი არ იხდის გადასახადებს. ასეთმა სიტუაციამ მოკლე ხანში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული საბიუჯეტო კრიზისი. 1996 წლის ფედერალური ბიუჯეტი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შემოსავალმა გადასახადებისაგან უნდა შეადგინოს 246,9 ტრილიონი რუბლი (დაახლოებით 52 მილიარდი აშშ დოლარი). წინასწარი მონაცემებით საგადასახადო სამსახურმა ფედერალურ ბიუჯეტში შეიტანა 146 ტრილიონი რუბლი. საერთო საგადასახადო დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგინა 33,8 ტრილიონი რუბლი.

### გაკოტრებული ბანკების მეანაბრეები მიიღებენ კომპენსაციას

ლიტვის პრემიერ-მინისტრის ალოლფას ელეშევიჩიუსის განცხადებით ლიტვის გაკოტრებული და დახურული სააქციონო ინოვაციური ბანკის და ბანკ "ლიტიმპექსის" მეანაბრეები მიიღებენ კომპენსაციას. ფულს პირველად ის მეანაბრეები მიიღებენ, რომელთა დეპოზიტმა შეადგინა 5000 ლიტი (1250 აშშ დოლარი) ან ნაკლები. წვრილი მეანაბრეების დანაკარგის კომპენსაციისათვის, რომლებიც ამ ბანკების მთელი მეანაბრეების 75 პროცენტს შეადგენენ, საჭირო იქნება დაახლოებით 35 მილიონი ლიტი. დეპოზიტთა დაბრუნების წესს განსაზღვრავს მთავრობა. საერთაშორისო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები მოამზადებენ ბანკების რესტრუქტურიზაციის გეგმას. ელეშევიჩიუსმა გამოთქვა რწმენა, რომ მთლიანობაში ეკონომიკა გაუძლებს ამ ბანკების გაკოტრებით მიღებულ ზარალს.

### აქციათა 41 პროცენტი — საინვესტიციო კომპანიებს

უკრაინაში პრივატიზება ჩაუტარდება ქარხანას, რომელიც ამზადებს მსუბუქ ავტომობილებს. ქ. ზაპოროჟიეს ქარხანა "ავტოზაზი" წელიწადში უშვებს დაახლოებით 60000 ავტომობილს, რომელთა უმრავლესობა რუსეთში ექსპორტირდება. პრივატიზების გეგმის შესაბამისად კომპანიების მეოთხედი ნაწილი რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, აქციების 41 პროცენტს შესთავაზებენ უკრაინის საინვესტიციო კომპანიებს და ერთობლივ საწარმოებს. 12 პროცენტი შეიძლება შეისყიდონ საზღვარგარეთის წარმომადგენლებმა, 5 პროცენტის შეძენა კი შეეძლებათ უკრაინის მოქალაქეებს პრივატიზების სერტიფიკატებით.

### „მთელი ქვეყანა ერთიანად უზარმაზარი შესაძლებლობაა"

"არა მგონია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის აღდგენის გარდა სხვა ასეთი რამ მომხდარიყოს" – განაცხადა კევინ მონიონმა – საერთაშორისო მენეჯმენტის ჯგუფის პასუხისმგებელმა პირმა. გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" იტყობინება, რომ ადმინისტრატორთა სულ უფრო და უფრო მეტი ჯგუფები ბოსნიას განიხილავენ როგორც მეწველ ძროხას. და მოუთმენლად ელიან მომენტს, როდის შეძლებენ მის მოწველას. ბოსნიას მილიარდობით დოლარის დახმარებას პირდებიან სულ სხვადასხვა დონეზე. ბევრი ამერიკული კომპანიისათვის გადაიხრილი გზები და დანგრეული შენობები ის შანსია, რომელზეც ურის ვერ ათქმევინებთ რამდენიმე სხვაგვარის წინააღმდეგობა.

"მთელი ქვეყანა ერთიანად უზარმაზარი შესაძლებლობაა" – ამ სიტყვებს მიაწერენ ბოსნიის სავაჭრო პალატის წარმომადგენლებს. მსოფლიო ბანკს და ეკონომიკურ საბჭოს განზრახული აქვთ სამ-ოთხი წლის განმავლობაში დახარჯონ 5,1 მილიარდი აშშ დოლარი იმ პროგრამებზე, რომლებიც ითვალისწინებს სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების, სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოების (მაგალითად ელექტროსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების) აღდგენას.

ბოსნიის მთავრობის მიერ შედგენილი სია მოიცავს 700 პროექტს, რომელიც განხორციელებას ელოდება. მსოფლიო ბანკმა უმცირესი წვრილმანების გათვალისწინებით შეადგინა ბიუჯეტი. ოფიციალური პირები მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

### კომუნისტები არ ცხრებიან

როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რუსეთის კომუნისტური პარტიის მორიგი ყრილობის მოსამზადებელი კომისია ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ რიჟკოვის ხელმძღვანელობით, აქტიურ საქმიანობას ეწევა. ყრილობა მიმდინარე წლის 8 აგვისტოს გაიმართება. რუს კომუნისტთა თავკაცმა გენადი ზიუგანოვმა განაცხადა, რომ ეს იქნება პარტიის შემჭიდროების, ერთიანი მიზნისაკენ გზის დასახვის ახალი ეტაპი. ყრილობაზე განსაზღვრავენ შემდგომი საქმიანობის ტაქტიკას, აირჩევენ ხელმძღვანელობას, დასახავენ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადების სტრატეგიას.

ერთი სიტყვით, რუსი კომუნისტები არ ცხრებიან.

### ყოფილი პირველი ვიცე-პრემიერი უარზე იყო და...

ძნელი სათქმელია, თუ რას შესთავაზებდა რუსეთის პრემიერი ყოფილ პირველ ვიცე-პრემიერს ანატოლი ჩუბაისს, მაგრამ მან მოვლენებს დაასწრო და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კატეგორიული უარი თქვა მთავრობის ახალ შემადგენლობაში მონაწილეობაზე. ჩუბაისს ამ გადაწყვეტილების მოტივი არ დაუსახელებია.

აღმოჩნდა, რომ იგი სავარძლისათვის ემზადებოდა – პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი გახდა. ეტყობა, პრეზიდენტის თხოვნას განსაკუთრებული ძალა აქვს და "ბატონი ვაუჩერი" (ასე ეძახდნენ ჩუბაისს ქონების სახელმწიფო კომიტეტში მუშაობის დროს) დიდი გულმოდგინებით შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას.

მიმომხილველები ხაზს უსვამენ ჩუბაისის პრინციპულობას, ენერგიულობას, დიდ ორგანიზატორულ ნიჭს და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარს.

### ალტაიში ყვითელი ბავშვები იბადებიან

ეს უცნაური მოვლენა კომუნისტური მმართველობის პერიოდში დაიწყო, მაგრამ მეტად გასაიდუმლოებული იყო. ახლა მასზე ხმამაღლა ლაპარაკობენ, ოღონდ ამ უცნაურ ფენომენთან ბრძოლის მეთოდები ჯერაც არ არის შემუშავებული. ამიტომ ბევრია სიკვდილის შემთხვევა.

ცალკეული სპეციალისტები ამ მოვლენას სამხედრო კომპლექსის უპასუხისმგებლო მოქმედებას უკავშირებენ.

### კიმ ირ ჩენი ყოყმანობს

ჩრდილოეთ კორეის მმართველმა, "დიდი კიმ ირ სენის" ვაჟმა კვლავ გადადო ხელისუფლებაში ოფიციალურად დამკვიდრების ცერემონიალი.

მიმომხილველები ამის მიზეზად ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს და პასუხისმგებლობისგან თავის არიდების სურვილს ასახელებენ.

**პრობლემა**

# საავტორო უფლებაც საკუთრებაა

საბაზრო ურთიერთობას სიკეთესთან ერთად ხინჯიც ბევრი აქვს, თუ მის კანონებს არ დავემორჩილებით და თავს ყველაფრის უფლებას მივცემთ. მითუმეტეს, თუ წესრიგიც შესაფერისი არ იქნება და ბაზარზე ჯეროვანი კონტროლი არ დაწესდება.

ჩვენ ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ და ბევრი იმას აკეთებს, რაც მოესურვება, რაც მის ჯიბეს ოდნავ მაინც შეავსებს. ფული იყოს და ჯანი გავარდნია წესს, უფლებას, მე გამომადგეს და რა მნიშვნელობა აქვს, თუ ვისია საქონელი — ფიქრობს დღეს ბევრი ვაი-ბიზნესმენი და თავისი გზით მიდის.

მადლობა ღმერთს, ვითარება თანდათან იცვლება, წესრიგიც თითქოს მყარდება, მაგრამ შეჩვეულის გადაჩვევა მეტად ძნელი ყოფილა.

ახლა თითქოს ყველა ვაჭრობს იმით, ვისაც რისი გაკეთება და გაყიდვა შეუძლია. ზოგს უცხოეთიდან შემოაქვს, ზოგი კი აქვე პოულობს იოლ ლუკმას.

ყველა ბაზრობაზე, მეტროს სადგურთან, სხვადასხვა ხელსაყრელ ადგილებში იყიდება ჟურნალები, წიგნები — გაივსო ბაზარი მდარე ლიტერატურით, პორნოგრაფიით. არ არის ეს კარგი საქმე, მაგრამ მკითხველის გემოვნების ამაღლებაზე არ ვლაპარაკობთ. საუბარია აშკარა ყაჩაღობაზე. "ველური ვაჭრობა" ანუ როგორც უწოდებენ "შავი ბაზარი" გაივსო ნაქურდალი წიგნებით. დიახ, ნაქურდალით. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რაც დღეს ჩვენში ხდება. გამოვა ახალი წიგნი, ვიღაცა ატყობს, რომ მას მყიდველი ყავს და... საოცარი სისწრაფით ჩნდება მისი ასლი, უარეს შემთხვევაში ამ წიგნის ქსეროასლები, მათ შორის სახელმძღვანელოებიც.

არავის აინტერესებს, რომ ირღვევა გამომცემლობის უფლებები. უპირველეს ყოვლისა ცოცხალი. აგერ ჩვენს გვერდით მყოფი ავტორის უფლებები.

ვინ აკეთებს, რატომ აკეთებს, როგორ ხდება ეს?

ერთ-ერთი გამყიდველი, რომელსაც ქვის ბორდიურზე არხეინად გამოუფენია მცირე მოცულობის სახელმძღვანელოს ქსეროასლი, ვინაობას არ ამხელს, ისე ამბობს: "მოაქვთ, რა ვუყოთ, პასპორტს ხომ არ მოვთხოვ, ვინ არის. ჩემი საქმე გაყიდვაა. პურის ფულს ვშოულობ".

იქვე მანდილოსანი უყოყმანოდ იძენს იმას, რაზეც საუბარია და გვიპასუხებს: "სახელმძღვანელოები არ იშოვება. აგერ ვნახე და მე სულ არ ვიცი, ქსეროასლია თუ რაღაც ჯანდაბა".

მყიდველმა არ იცის, გამყიდველს არ აინტერესებს. რა ვქნათ?

ვიღაცამ ხომ უნდა გაიგოს, რომ საავტორო უფლებაც საკუთრებაა და იგი კანონმა უნდა დაიცვას.

ზ. კაცობაშვილი.

# ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩენილ გზას დიდი ფასი აღარა აქვს

ივლისმა იძალა. თავისი შესაძლებლობები გვაჩვენა — "ბდღვირი ადინა" ქალაქს. ვისაც შეეძლო სიცხეს გაერიდა — გრილ ზონაში ან ზღვასთან ახლოს გადაინაცვლა. ვისაც ჯიბემ უმტყუნა, შინ ზის და გრილ ჩრდილზე ფიქრობს. მოუსვენრებიც არიან, განსაკუთრებით ლუდის მოყვარულები. თბილისში მათ რა გამოლევს. ოღონდ ეგ იყო უცხოეთიდან შემოტანილი სასმელის სიძვირემ ერთხანს ბევრი მათგანი შეაფიქრიანა. მაგრამ...

ღმერთმა ხელი მოუმართოთ თბილისელ მელუდეებს. ავად თუ კარგად რაღაც გამოსავალი მაინც იპოვეს. ვერ ვიტყვით, რომ ძალიან კონკურენტუნარიანი, უმაღლესი ხარისხის ლუდით მოამარაგეს თბილისელები, ეს კია, საქმე მთლად ხელიდან წასული არ ჩანს. სასმელს არა უშავს რა, რაოდენობაც ცოტა არ არის.

ყოველივე ამას ადასტურებს ლუდის მეორე ქარხანა. მას ამ ხვატში უამრავი მუშტარი ყავს. რა სახის ჭურჭელი არ უჭირავთ ხელში. მოდიან და მიაქვთ. ზოგი იქვე ისველებს ყელს.

კეთილი. წარმოება რაღაცას აკეთებს, მუშტარიც ყავს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სინათლეს ყოველთვის ახლავს ბნელი, ჯერ ერთი იქვე პატარა ბაზრობა შეიქმნა. გადაბრუნებულ ყუთებზე ყიდიან შესაფერის საქონელს — შებოლილ თევზს, ძეხვს და ა. შ. მათ ხარისხზე, საიმედოობაზე არაფერს ვამბობთ.

ერთი საჩოთირო სურათია: მუშტარი მანქანით მოდის. აჩერებს იქ, სადაც მოუნდება ან მოახერხებს. ხანდახან აქ ერთბაშად ასამდე მანქანა იყრის თავს და ამ ადგილზე მარცხენა სანაპირო ფაქტიურად იკეტება. ზოგჯერ მანქანით გავლა შეუძლებელია.

ალბათ საგზაო პოლიციამ უნდა იფიქროს ამაზე. "უნდა" იმიტომ, რომ ჯერ არავინ ფიქრობს. არცერთი პოლიციელი აქ არ ჩანს არც დღისით, არც ღამით.

ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ... თუმცა შევეშვათ. ავი ენა კარგს არაფერს იტყვის, ილაპარაკოს რამდენიც უნდა, ოღონდ საქმე გააკეთოს.

საქმე კი ის არის, რომ დამამზადებლისა და მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოძრაობა მოწესრიგდეს მანამდე, ვიდრე უბედურება არ დატრიალდება. ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენას დიდი მნიშვნელობა მაინც აღარ ექნება.

ი. სოსელია.

# ჩვენი ლექსიკონი

**აკვიზიცია** - ლათინური სიტყვაა, პირდაპირ ითარგმნება, როგორც შეძენა. ეს არის სატრანსპორტო ან სადაზღვევო საწარმოებისა და თანამშრომელთა და აგენტთა მიერ მოსახლეობასთან ჩატარებული მუშაობა ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულების დადების შესახებ.

**აკრედიტივი** — დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ერთი საკრედიტო დაწესებულების დავალებას მეორისადმი სპეციალურად დაჯავშნული საშუალებების ხარჯზე აწარმოოს სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების განაღდება გადმოტვირთული საქონლისათვის ან გადაუხადოს აკრედიტივის წარმომდგენს განსაზღვრული თანხა.

**აკრძალვის ტარიფები** — მაღალი საბაჟო ტარიფები, რომლებითაც ზღუდავენ ქვეყნის შიდა ბაზარს ზოგიერთი სახის უცხოური საქონლის იმპორტისაგან.

**აკუმულირებული ამორტიზაცია** — ეს არის ანგარიში, რომელიც გვიჩვენებს ამორტიზაციის მთელ თანხას, დარიცხულს აქტივზე ბალანსის შედგენის დროისათვის.

**ალეატორული გარიგებანი** — ლათინურად ნიშნავს აზარტულ მოთამაშეს. ამ შემთხვევაში არის გარიგება, რომელიც დაკავშირებულია რისკთან.

**ალპარი** — ფასიანი ქაღალდების საბირჟო კურსის ან ვალუტების საბაზრო კურსის ნომინალთან შესაბამისობა.

**ავალგამაცია** — რამდენიმე დამოუკიდებელი ბანკის შერწყმა კონკურენციული ბრძოლის პროცესში. ავალგამაცია ორი სახისაა. პირველი — ერთი მსხვილი ბანკის მიერ მეორის შთანთქმა, რომელიც ამასთან კარგავს დმოუკიდებლობას და ჩვეულებრივ ცვლის თავის აქციებს მისი შთამთქმელი ბანკის აქციებზე; მეორე — ახალი ბანკის შექმნა ბანკების შერწყმის გზით, რომლებიც კარგავენ დამოუკიდებლობას და გადასცემენ თავიანთ აქტივებს ახალ ბანკს.

**ალონაჟი** — დამატებითი ფურცელი, რომელსაც ამაგრებენ თამასუქზე გადასაცემი წარწერებისათვის იმ შემთხვევაში, როცა ეს წარწერები თამასუქზე აღარ ეტევა.

**ამხანაგობა** — სამართლებრივი მდგომარეობით კომპანიების სახეობა, რომლებიც კომერციულ საქმიანობას ეწ... ან. როგორც წესი, ყველა ... ითვლებიან იურიდიულ პირ... რომელთა უფლებები რეგლ... ტირებულია კანონის, მათი ს... ანობის მიზნებისა და ამოც... მიხედვით, საწესდებო ... ბულებით. ყველაზე გავრცელ... ლი ფორმაა აქციონერული ... ზოგადოება. არსებობს აგრ... აქციონერული კომანდ... პარტნერშიპის, კორპორაციის... მით სრული ამხანაგობა, შეზღ... ლი პასუხისმგებლობის ამხან... ბა და ა.შ.

**არაკომერციული ორგან...ციები** — ორგანიზაციები, რომ... ათვის კომერციული საქმიან... არ წარმოადგენს მთავარ მიზ... არაკომერციულ ორგანიზაც... განეკუთვნებიან განათლების... მრთელობის დაცვის, კულტ... რელიგიური, პოლიტიკ... საქველმოქმედო და სხვა.

**არაკუმულატორული ფას...ლება** — საქონლის გაყიდვა ... დაკლებით, როდესაც ერთდ... ლად დიდი რაოდენობის ს... ლის გაყიდვის სტიმულირ... სათვის ფასდაკლების სიდიდ... დიან შესყიდული პარტიების... ულობის ზრდასთან ერთად ...

**სპორტი**

## 28 აგვისტოს — ბრაზილიელებთან

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. ტუკმანოვმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ... აგვისტოს დაგეგმილია რუსეთის ეროვნული ნაკრები გუნდის შეხვედრა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ... — ბრაზილიელებთან. ეს თამაში ბრაზილიელთა ევროპული ტურნეს პროგრამით ტარდება.

## 10,5 მილიონი

ეს თანხა გადაიხადა ცნობილმა ინგლისელმა კლუბმა "მიდლსბორომ", რათა იტალიის "იუვენტუსის" ... შეეძინა თავდამსხმელი რავანელი, რომელმაც ამასწინათ ინგლისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ... ვერაფრით გამოიჩინა.


# რეკლამა ✶ ✶ განცხადება

ფირმა „ბაიარქსი" კედლების შიგნიდან და გარედან მოსაპირკეთებლად გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის დეკორატიულ მასალას. იგი დამზადებულია გრანიტის და მარმარილოს ნაფხვენებისაგან, სინთეტიკური ფისების და სხვა შემაერთებელი კომპონენტებისაგან. მასალა წყალგაუმტარია, კარგად უძლებს ტუტეებს და სხვადასხვაგვარ ატმოსფერულ ზემოქმედებას.

„ბაიარქსს" შეუძლია მოაპირკეთოს ადმინისტრაციული ინტერიერები, ბანკები, სპორტული კომპლექსები, მეტროპოლიტენი, სასურსათო, ქიმიური დანიშნულების შენობები, რესტორნები და საცხოვრებელი სახლები.

„ბაიარქსის" სავაჭრო წარმომადგენლის ტელეფონებია:
36-24-72; 37-35-62.

"რელიგია და კულტურა"
სახელმძღვანელო მე-3, მე-4 და მე-5 კლასებისათვის

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა. მოსწავლეები, ვისაც როგორ შეუძლია, ზაფხულის არდადეგებით ტკბებიან. გამომცემლობა "დედაენამ" კი ახალი სასწავლო წლისათვის უკვე მოუმზადა მათ სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორია რევაზ ოვარაძე, რედაქტორი — გია მურღულია. სახელმძღვანელო "რელიგია და კულტურა" მე-3, მე-4 და მე-5 კლასებისათვის უკვე დაბეჭდილია.

გაიყიდება გამომცემლობა "დედაენაში"
შემდეგ მისამართზე:
მიხეილ ზანდუკელის ქ. №1
(მეტროს სადგურ "რუსთაველის" თავზე).
ტელ: 99-93-07; 98-35-49.



გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის ხელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს გთხოვთ ნუ შემოგვთავაზებთ მანქანის 7 გვერდზე ვრცელ წერილებს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 07.96 წ.



პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზირი, №64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
"სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია